ეროვნული

1927 სახელმწიფო გამომცემლობა. № 8

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

		გვ.
1.	პირველი მაისი—ლექსი—გ. ქუჩიშვილის	1
2.	1 მაისი—შანის	2
3.	გამენიდან პიონერამდე	3
4.	გაზაფხულის ზეიმზე—ს. ერთაწმინდელის	9
5.	მიწის წიალში (თარგმ.) დ. კ-ის	12
6.	ვემზადოთ ბავშთა საერთაშორისო კვირეულისათვის — კ. ვასაძის	15
7.	ჩვენი ბელადები—ამხ. სტალინი—ჯუღაშვილი	16
8.	პიონერთა სიმღერა—ლექსი—სეზმანის	16
9.	სასკოლო კოოპერატივი	17
10.	ჩვენი ძმები მსოფლიოში	19
11.	მეცნიერება და ტეხნიკა	20
12.	სხვადასხვა ცნობები	21
13.	ბავშთა შემოქმედება	22
14.	რადიო	23
15.	ამოცანა № 1	24

329.153(05)
ბ-47.
102

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1927
30 აპრილი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური მიუროს (საქ. ა. ღ. კომკავშირის ცეკასთან) ჟურნალი მაგშმისათვის

წელიწადი II
№ 8

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

პირველი მაისი!
წითელი მაისი!—
კიდითი-კიდემდე
ნეტარი ხმა ისმის!
ქალებო, ვაჟებო,
გულმხნენო, კაჟებო,
გამოდით ყველანი
დემონსტრაციაზე!
გავშალოთ დროშები,
წითელი დროშები,
და ავაფრიალოთ
ცის ლაჟვარდ წიალზე!
ძირს ბურჟუაზია!
ძირს კაპიტალიზმი!—
ჩვენი ხმა მედგარი
გრგვინავდეს ყველგანა!
ვაშენოთ კომუნა
და სოციალიზმი,
შრომის საბალნაროდ
გარდავქმნათ ქვეყანა!
პირველი მაისი!
წითელი მაისი!—
კიდითი-კიდემდე
მხოლოდ ეს ხმა ისმის!
კაშკაშებს, ჩახჩახებს
მზე წითლად მშუქარა!
მშრომელთა ლაშქარი
გუგუნებს, ჰქუხს!
იმპერიალისტებს
უთვლიან მუქარას!—
მტერი და დუშმანი
ვალალებს, სწუხს!
პირველი მაისი!
წითელი მაისი!—
დღეს ყველგან გაისმის
ხმები ნეტარული!
მუშათა ერთობა,
ძმობა-სიყვარული
და პროლეტარული
სუფევს სიხარული!

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალისტური წესწყობილება—ეს ისეთი საზოგადოებაა, სადაც მთელი სიმდიდრე ერთ მუჭა კაპიტალისტებს (ფაბრიკანტებს, ბანკირებს, მემამულეებს) ეკუთვნის, და ამიტომ მუშათა კლასი იძულებულია იშრომოს, ოფლი და სისხლი ღვაროს ამ ერთი მუჭა ხალხისთვის.

ასეთი სასტიკი, მძიმე და უსამართლო წესწყობილება უკვე დიდი ხანია რაც არსებობს ქვეყნიერებაზე.

ასეთმა აუტანელმა მდგომარეობამ მუშათა კლასი დააფიქრა, აიძულა ის მოენახა ისეთი გზა, რომელიც გაათავისუფლებდა მას ამ მდგომარეობიდან.

1888 წელს საფრანგეთის სატახტო ქალაქ პარიზში შეიკრიბა მთელი ქვეყნის რევოლუციონერების ყრილობა (მეორე ინტერნაციონალის პირველი კონგრესი). აქ დადგენილ იქნა, რომ პირველი მაისი გახადონ მთელი ქვეყნის მუშათა დღესასწაულად. ეს დღე უნდა გამხდარიყო რევოლუციონური მუშების ძალების დათვალიერების და დარაზმვის დღედ.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ამ დღეს აყენებდენ მუშები, იყო: სამუშაო დღის შემოკლება 8 საათამდე (მანამდე მუშებს უხდებოდათ 12—14 და ხშირად 16 საათის მუშაობა დღეში).

რვა საათის საათის სამუშაო დღის შემოღებას მუშათა სხვა მოთხოვნებიც მოჰყვა, მაგალითად: მუდმივი ჯარის დაშლა, რადგანაც სახელმწიფოს მისი შენახვა ძვირად უჯდება, ეს ფული ჯარის შესანახავად კი სახელმწიფოს მუშებისაგან და გლეხებისაგან მიაქვს.

ამას მიემატა სხვა მოთხოვნებიც, რომელსაც უნდა გაეუმჯობესებია მუშათა მძიმე პირობები.

უკვე 1891 წლის პირველმა მაისმა ბევრი რამ აგრძნობინა მდიდრებს საფრანგეთში. საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქებში მუშები ისე მომზადებული და დარაზმული გამოვიდენ მჩაგვრელების წინააღმდეგ, რომ ეს უკანასკნელები იძულებული შეიქნენ დახმარებისათვის პოლიციისათვის მიემართათ. საქმე შეტაკებამდეც მივიდა.

რუსეთში პირველი მაისი პირველად 1891 წ. იდღესასწაულეს, მხოლოდ დიდ ქალაქებში. საქართველოში პირველი მაისი პირველად იდღესასწაულეს 1899 წელს ტფილისში, ნაძალადევის გორაკის გადაღმა, ხოლო 1900 წელს ტფილისის ქუჩებში.

გარდა პირველი მაისის ლოზუნგებისა, რუსეთის მუშები საერთოდ აყენებდენ თვითმპყრობელობის დამხობის ლოზუნგებსაც.

1917 წლამდე პირველი მაისის დღესასწაული რუსეთისა და ჩვენს მუშათა ცენტრებში პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან შეტაკებით, მასიური დაპატიმრებით, გადასახლებით თავდებოდა, ე. ი. ისე, როგორც დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომელთა შესახებაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

მაგრამ მუშები მაინც არ დრკებოდენ, თანდათან ემატებოდა მათ რიგებს ახალი რაზმები, თანდათან აფართოებდენ ისინი თავიანთ ბრძოლას.

ყველაფერი ის, რაზედაც მრავალი წლების განმავლობაში ოცნებობდა და რისკენაც მიისწრაფოდა და რასაც გამოსთქვამდა მშრომელი ხალხი პირველ მაისს,—ყველაფერ ამას მიაღწიეს საბჭოთა კავშირის მუშებმა ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით. მაგრამ ქვეყნიერების დანარჩენ ნაწილში მუშები ჯერ კიდევ კაპიტალისტების მძიმე ბორკილებში არიან ჩაჭედილი, და ამიტომ პირველი მაისი ჯერ კიდევ არის საერთაშორისო მუშათა კლასის ძალთა დათვალიერების დღე.

დღეს მთელ ქვეყნიერებაზე პირველი მაისის მოწყობას და ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მესამე ინტერნაციონალი, რომელიც დაარსებულია **ლენინის** ხელმძღვანელობით.

ბურჟუაზია ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ შეინარჩუნოს თავისი ბატონობა. ამისათვის ის სისხლის მორევში ახრჩობს მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობას.

მაგრამ ბურჟუაზია თავს იტყუებს, მას არ შეუძლია წინ გადაეღობოს მუშათა კლასს, რომელიც თანდათან უახლოვდება მსოფლიო გამარჯვებას, მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას.

შანი.

103
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაურობს პარიზის ქუჩები. საფრანგეთის სატახტო ქალაქი მოუსვენრობის ტალღებშია გახვეული.

გრძელი მწკრივებით მოსჩანს ავტომობილები, რომლებიც დაუსრულებლივ ერთმანეთს მისდევენ.

ყოველი მხრიდან მოექანებიან ავტობუსები. ტრამვაის რონოდებიც სწრაფად და ხშირად მოძრაობენ.

საყვირების და მეგაზეთეების ყვირილი ქუჩებს აყრუებს.

ოხ, მეგაზეთეები! გაბედული, ცოცხალი, მხიარული ბავშვებია! მათ იციან პარიზის ყველა ქუჩები და შესახვევები, ყველა არხები, როგორც თავიანთი ბინა ქალაქის განაპირა და ბინძურ ნაწილში.

— აი, აი გაზეთი! იყიდეთ! ძლიერ საინტერესოა!—ყველგან გაისმის მათი წკრიალა ხმები.

ვინ არიან მეგაზეთეები?—ყმაწვილები ძველი, შავი და თეთრკუთხეებიანი ქუდებით, ცისფერ ხალათში და განიერი შარვლებით, ჭრელი, დიდი და ნათელი თვალებით! რამდენი სიბრძნე და სიახლე მათში!..

ისინი იბრძვიან არსებობისათვის, ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ ქედი არ მოიხარონ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინაშე, რომელმაც ისინი ქუჩებისაკენ გამოისტუმრა. დიახ, ისინი ჭეშმარიტად მებრძოლები არიან!..

ამ სურათების შემყურეს ძალაუნებურად სხვა სურათებიც გაგონდება...

გაგონდება მებრძოლი ბავშვები, რომლებიც რევოლუციას ეწირებოდენ, რომლებიც ახალი ცხოვრებისათვის იბრძოდენ. ვის არ ახსოვს ვ. ჰიუგოს მიერ დახატული ქუჩის ბავში—გამენი[1])—გავროში?

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა დაახლოვებით, როცა დიუ-სიმონის პასაჟი ბრძოლის ველად გადაიქცა. მის ერთ ბოლოში აჯანყებულები იყვნენ, მეორეში—ჯარები. ისინი ერთმანეთს ესროდენ. ამ დროს მოლი-მონტანის ქუჩაზე ძონძებიანი ბავში მიდიოდა, ხელში შავი ხის ტოტით, რომელიც ბელვილის მაღლობზე იყო მოტეხილი. როცა ის მიუახლოვდა ძველი ნივთებით მოვაჭრე ქალის დუქანს, დაინახა იქ გამოფენილი ძველებური დამბაჩა. ბავშმა გადააგდო ქვაფენილზე ტოტი და დაიყვირა:

— დედი, შენ უნდა მათხოვო ეს ნივთი!

მან სტაცა ხელი დამბაჩას და გაიქცა.

ეს იყო პატარა გავროში, რომელიც აგრეთვე საომრად მიდიოდა.

გავროშს ძალიან აბრაზებდა ის, რომ მისი დამბაჩა უჩახმახო იყო. იგი მოსვენებას არ აძლევდა აჯანყებულებს და ხშირად თხოვდა, რომ მათ მიეცათ მისთვის თოფი.

— მომეცით მეც თოფი!.. მეც მინდა თოფი!.. რატომ არ მაძლევთ თოფს?..—ყვიროდა იგი.

— შენ თოფი?—გაიკვირვა ერთმა იმათგანმა.

— რატომ არა?—შეეკითხა ბავში.

წინამძღოლმა ბეჭების აწევით სთქვა:

---

[1]) საფრანგეთში გამენს უწოდებენ ქუჩის ბავშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როცა ყველა მოზრდილს ექნება თოფი, მაშინ ზედმეტს ბავშებსაც დაურიგებენ.

გავროში ამაყად მიუბრუნდა მას და შეჰყვირა:

— როგორც კი მოგკლავენ, მე შენ თოფს ავიღებ.

— ბალღო!—დაუყვირა მან.

— ძუძუმწოვარა!—უპასუხა გავროშმა...

— გავროშ, შენ პატარა ხარ და ვერ შეგამჩნევენ. გადი ბარიკადიდან, გაძვერი სახლებში, მოიარე ქუჩები, შემდეგ დაბრუნდი და გვიამბე ყველაფერი, რასაც ნახავ და გაიგონებ.

გავროში გასწორდა.

— აჰა, — სთქვა მან, —მაშასადამე, პატარებიც რაიმე საქმეში გამოსადეგი ყოფილან?.. ეს ძალიან სასიამოვნოა! მე წავალ...

სენ-მერის სამრეკლოზე ათი საათი დაჰკრეს. ჯერ კიდევ არვინ მოსჩანდა. ანჯოლრასი და სხვები თოფებით ხელში იდგენ დიდი ბარიკადის გასაძრომთან. ისინი ჩუმად ისხდენ და ყურადღებით ისმენდენ ფეხის ხმას, რომელიც შორიდან ყრუდ მოისმოდა. უცებ, მწუხარების მომგვრელ სიჩუმეში, გაისმა ახალგაზრდა, ცოცხალი, მხიარული ხმა, რომელიც თითქო სენ დენის ქუჩიდან მოდიოდა.

— ეს გავროშია, — სთქვა ერთმა იმათთაგანმა.

— წინასწარ გვატყობინებს, —დაუმატა მეორემ.

ვიღაცის ჩქარმა ფეხის ხმამ დაარღვია უდაბური ქუჩის სიჩუმე. ამის შემდეგ გამოჩნდა პატარა ფიგურა, რომელიც საუკეთესო ჯამბაზის სისწრაფით და სიმარდით გადმოდიოდა წაქცეულ ომნიბუსზე. ეს მართლაც გავროში იყო. როცა ბარიკადის შიგნით მოექცა, მან საჩქაროდ დაიყვირა:

— მომეცით თოფი! მოდიან!

ბარიკადასთან მყოფნი საჩქაროდ წამოცვივდენ.

— გინდა ჩემი კარაბინი?—ჰკითხა ანჟოლრასმა გამენს, —იგი უფრო მჩატეა.

— მე მინდა დიდი თოფი, —სთქვა გავროშმა და აიღო თოფი.

თითქმის გავროშთან ერთად გამოჩნდა ორი გუშაგი, რომლებიც შანვრერის ქუჩის ბოლოში იდგენ.

ყველამ დაიკავა საბრძოლველი ადგილი. ოცდასამი აჯანყებული, —მათ რიცხვში გავროშიც, —დაჩოქილი იყო დიდ ბარიკადაზე, მათ თავი ეჭირათ ბარიკადის სიმაღლეზე, თოფები და კარაბინები ქვებზე ედვათ. ისინი იდგენ ჩუმად და ყოველ წუთს მზად იყვნენ სროლის დასაწყებად.

ქუჩაში ზარბაზანი გამოჩნდა.

— ცეცხლი! — გასცა ბრძანება ანჟოლრასმა, აჯანყებულთა ხელმძღვანელმა.



— ცეცხლი! — გასცა ბრძანება აჯანყებულთა ხელმძღვანელმა.

104

ბარიკადიდან იგრიალა თოფებმა, კვამლის ღრუბელმა დაფარა ადამიანებიც და ზარბაზანიც. რამდენიმე წუთის შემდეგ კვამლი გაიფანტა, და ზარბაზანიც და ადამიანებიც გამოჩნდენ. არტილერისტებმა აუჩქარებლად და წესიერად გამოაგორეს ზარბაზანი და დააყენეს ის ბარიკადის პირდაპირ. არც ერთი ტყვია მიზანს არ მოხვდა. შემდეგ დამყენებელმა თითი დააჭირა ტარელს, რომ სამიზნებელი აეწია, და დაიწყო ზარბაზნის მიზანში დაყენება ასტრონომის სიამაყით, რომელიც ცის მნათობებს ათვალიერებს.

— მოხვდა! — გაისმა მხიარული ხმა.

და სწორედ იმ წუთს, როცა ყუმბარა დაეცა ბარიკადას, იქიდან ჩამოხტა მიწაზე გავროში.

ის გაეშურა სინის ქუჩის მხრით და მარდად გადახტა იმ ბარიკადაზე, რომელიც პეტიტ-ტრიუანდის ქუჩიდან მომავალ გზას ღობავდა.

გავროშის გამოჩენამ უფრო მეტი ეფექტი გამოიწვია, ვიდრე ყუმბარამ.

ყუმბარა ნაგვის გროვაში ჩაეცა და შიგ დაიმალა. იმან მხოლოდ ომნიბუსის ერთი ბორბალი გადატეხა და ძველი ურემი მტვრად აქცია.

ამ გარემოებამ დამცველებში სიცილი გამოიწვია.

გავროში უკვე ბარიკადის მეორე ბოლოში იდგა.

გავროშმა აცნობა „ამხანაგებს“, როგორც ის მათ ეძახდა, რომ ბარიკადა ყოველ მხრიდან არის გარშემორტყმული.

ამ ცნობის მიცემის შემდეგ მან ამაყად დაუმატა:

— ნებას გაძლევთ კარგად გაუმასპინძლდეთ იმათ.

— ხელი უნდა შევუშალოთ, რომ მეორე ყუმბარა არ გამოისროლონ, — სთქვა ანჟოლრასმა, აიღო თოფი და დაუმიზნა ფეიერვერკერს, რომელიც ზარბაზანთან გაწოლილიყო და მიზანს ამოწმებდა.

ანჟოლრასმა თოფის ჩახმახის ფეხს გამოჰკრა ხელი. თოფმა იგრიალა. არტილერისტმა ხელები შეიქნია, ორჯერ გადატრიალდა ერთსადაიმავე ადგილზე, ასწია თავი, თითქო იმისთვის, რომ ჰაერი ჩაესუნთქა, შემდეგ მიაწვა ზარბაზანს და გაშეშდა. ბარიკადიდან მოსჩანდა მისი ზურგი, იქედან სწორედ შუა ადგილზე სისხლი ისე სცემდა, როგორც შადრევანიდან. ტყვიამ გაუხვრიტა მას მკერდი. იგი მკვდარი იყო.

საჭირო იყო იმისი წაღება და მეორე პირით შეცვლა, ეს კი რამდენიმე წუთით დროის მოგების შესაძლებლობას იძლეოდა.

თოფის ტყვიები და კარტეჩი ერთმანეთში ირეოდა, თუმც ისინი დიდს ზიანს ვერ აყენებდა. მხოლოდ ზიანდებოდა იმ სახლის ზედა ნაწილი, რომელშიაც სამიკიტნო „კორინთი“ იყო მოთავსებული. პირველი სართულის ფანჯრებს და სახურავის მანსარდებს ტყვია და კარტეჩი ანადგურებდა. იქ ჩასაფრებული ბარიკადის დამცველები იძულებული იყვნენ იქიდან გამოსულიყვნენ. მაგრამ ბარიკადა არ უპასუხებდა.

თვითეულ გასროლაზე გავროში ენით ლოყას ბერავდა.

— ეს კარგია, — სთქვა იმან, — რომ ისინი მატერიას ფხრეწენ ჩვრებად, შესახვევად დაგვჭირდება.

ზარბაზანი ისე იყო დაყენებული, რომ ყუმბარა ბარიკადის განაპირა ნაწილს ეცემოდა, მის ზედა ნაწილს ანგრევდა და აჯანყებულებს წვიმასავით ქვის ნატეხებს აყრიდა.

ამ საშუალებით მათ უნდოდათ, რომ აჯანყებულები იძულებულნი გამხდარიყვნენ რედუტის კედელს მოცილებოდენ და ბარიკადიდან შორს შეჯგუფულიყვენ; ეს კი იმისი მომასწავებელი იყო, რომ მალე იერიშზე გადავიდოდენ.

როცა აჯანყებულებს ბარიკადიდან ყუმბარებით და ფანჯრებიდან კარტეჩით გარეკავდენ, მაშინ იერიშის მიმტან რაზმებს შეეძლოდ თავისუფლად ქუჩაში გამოსვლა ისე, რომ მათკენ ერთი ტყვიაც არ გასროლილიყო, შემდეგ აცვენილიყვენ რედუტზე, როგორც წინა დღით საღამოს და, ვინ იცის, შესაძლებელია კიდეც აეღოთ.

— რაც უნდა მოგვივიდეს, უნდა შევამციროთ ზიანი, რომელსაც ზარბაზანი გვაყენებს, — სთქვა ანჟოლრასმა და შემდეგ დაიყვირა:

— ესროლეთ არტილერისტებს.

ყველა მზად იყო. ბარიკადამ, რომელიც ამდენ ხანს სდუმდა, ჯოჯეხეთური სროლა ატეხა. ექვსჯერ თუ შვიდჯერ გაისროლა ყველამ ერთად, მთელი ქუჩა სქელმა ნისლმა დაბურა და რამდენიმე წუთს შემდეგ ამ კვამლში, რომელსაც ცეცხლის ელვა სერავდა, შეიძლებოდა იმის გარჩევა, რომ არტილერისტების ორი მესამედი ზარბაზნების ბორბლის ქვეშ იწვა, დანარჩენი კი ზარბაზნების ახლო ფუსფუსებდენ აუღელვებლად; მხოლოდ ყუმბარებს უფრო იშვიათად ისროდენ.

— აი ეს კარგია, — სთქვა ვილაცამ, რომელმაც მიმართა ანჟოლრასს, — ეს წარმატებაა.

ანჟოლრასმა თავი ჩაიქნია და უპასუხა:

— კიდევ მეოთხედი საათი გაგრძელდეს ასეთი წარმატება და მთელ ბარიკადაზე დარჩება არა უმეტეს ათი ვაზნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავროშმა გაიგონა ეს სიტყვები.

უცებ ანჟოლრასმა დაინახა ვილაც ბარიკადის ახლო, ქუჩაში, რომლის ირგვლივ ტყვიებს ზუზუნი გაჰქონდა.

გავროშმა აიღო სამიკიტნოში ბოთლების კალათი, გაძვრა ბარიკადის იქეთ და მშვიდად იღებდა ნაციონალური გვარდიის დახოცილი ჯარისკაცების სავაზნეებიდან ვაზნებს და აწყობდა თავის კალათში.

— რას შვრები მანდ?—ჰკითხა ანჟოლრასმა.

გავროშმა თავი ასწია.

— მე კალათას ვავსებ.

— განა ვერ ხედავ, რომ ტყვიას გიშენენ?

ამაზე გავროშმა უპასუხა:

— ვხედავ, მოდის, როგორც წვიმა. მერე რა!

ანჟოლრასმა დაუყვირა:

— დაბრუნდი უკან!

— ამ წუთში,—უპასუხა გავროშმა.

და თვალის დახამხამებაზე შუა ქუჩაზე გაჩნდა.

გუნდმა დახევის დროს ბევრი დახოცილი დატოვა.

ოცამდე ცხედარი ეყარა ქუჩის სხვადასხვა ადგილებში.

გავროში ხედავდა ოცამდე სავაზნეს, ეს ვაზნები დიდ მარაგს მისცემდა ბარიკადას.

კვამლი ნისლივით ფარავდა ქუჩას. ვისაც უნახავს ხეობაში ორ კლდეს შუა ჩაშვებული ღრუბელი, მას შეუძლია წარმოიდგინოს ეს კვამლი, რომელიც მაღალი სახლების ვიწრო სალტებით იყო შემორტყმული. იგი ნელ-ნელა მაღლა ადიოდა და ამავე დროს ხელახლა კვამლი ჩნდებოდა. ამის წყალობით თანდათან სიბნელე მყარდებოდა. მოწინააღმდეგენი, რომელნიც ქუჩის მოპირდაპირე ბოლოებს იკავენ, ძლივს ამჩნევდენ ერთმანეთს, თუმცა მათ შორის მცირე მანძილი იყო.

ეს სიბნელე სასურველი იყო და თითქმის წინასწარ გათვალისწინებული უფროსების მიერ, რომლებიც ბარიკადის იერიშს ხელმძღვანელობდენ, და ძალიან უწყობდა ხელს გავროშსაც.

ამ კვამლმა და აგრეთვე მისი ტანის სიპატარავემ საშუალება მისცეს გავროშს ძალიან შორს წასულიყო. მან ისე დააცალიერა შვიდი თუ რვა სავაზნე, რომ მტერს სრულიად არ შეუმჩნევია. ის ხან მიცოცავდა, ხან მიფორთხავდა, კალათი კბილებით ეჭირა, მისცურავდა და იკლაკნებოდა, როგორც გველი; ერთ ცხედარიდან მეორისაკენ გადადიოდა და მათ სავაზნეებს აცალიერებდა მაიმუნის სიმარდით, რომელიც კაკალს ხრავს.

ბარიკადიდან, რომლისაგან ის ჯერ კიდევ საკმაოდ ახლო იყო, დაბრუნების შესახებ დაძახებას ვერ ბედავდენ, რომ ამით მტერს მისთვის ყურადღება არ მიექცია.

ერთ მკვდარზე, რომელიც კაპრალის ცხედარი აღმოჩნდა, მან იპოვა საწყლე ჭურჭელი.

— იმ შემთხვევისათვის, როცა წყალი მომინდება,—სთქვა და ჩაიდვა იგი ჯიბეში.

ის ისევ წინ მიიწევდა. ბოლოს მიაღწია ისეთ ადგილს, სადაც ნისლი უფრო გამჭვირვალე იყო, იმდენად გამჭვირვალე, რომ რეგულიარული ქვეითა ჯარის და ქალაქის ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცებმა, რომელთაც ქუჩის კუთხეში ქვებით გამაგრებული ადგილები ეკავათ, უცებ ერთმანეთს დაუწყეს რაღაც საგნის ჩვენება, რომელიც კვამლში მოძრაობდა.

იმ წუთში, როცა გავროში სერჟანტის ვაზნებს ალაგებდა, რომლებიც ტუმბოს ახლო იდვა, ცხედარს მოხვდა ტყვია.

— ჰმ!—ჩაილაპარაკა გავროშმა,—ისინი ახლა მიცვალებულებს ესვრიან.

მეორე ტყვია მოხვდა მის ახლო მდებარე ქვას. მესამემ გადააბრუნა მისი კალათი.

გავროშმა თავი ასწია და დაინახა, რომ მას ესვრიან გვარდიელები.

ის წამოხტა, მთელ თავის სიმაღლეზე გაიჭიმა, წელზე ხელები დაიდვა, შეაცქერდა ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცებს, რომლებიც მას ესროდენ, და გამომწვევი ხმით დაიწყო სიმღერა.

მეხუთე ტყვიამ თითქო იგი უფრო წააქეზა.

ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს.

წარმტაცი და თან შემაძრწუნებელი სანახაობა იყო გავროში, რომელსაც ესროდენ, ის კი დასცინოდა ჯარისკაცებს. გეგონებოდათ, რომ ეს მას ჰგვრიდა რაღაც დიდ სიამოვნებას. ეს იყო ბელურა, რომელიც აპირებდა მონადირის დაკორტნას. თვითეულ გამოსროლაზე ის სიმღერით უპასუხებდა. შეუჩერებლივ ისროდენ და ყოველთვის აცილებდენ. ნაციონალური გვარდიის და რეგულიარული ქვეითი ჯარისკაცნი იცინოდენ და თან უმიზნებდენ თოფს. ის წვებოდა, შემდეგ დგებოდა, კართან კუთხეში იმალებოდა, შემდეგ გამოხტებოდა, იმალებოდა, შემდეგ ისევ გამოჩნდებოდა, მიდიოდა და ბრუნდებოდა, უჯავრდებოდა ტყვიას და იმავე დროს ბოჰავდა ვაზნებს, ანადგურებდა სავაზნეებს და ავსებდა თავის კალათს. აჯანყებულები შიშით, კანკალით ადევნებდენ თვალყურს მას. ბარიკადა შიშისაგან კანკალებდა, ის კი მღეროდა. ის არ ჰგავდა არც

105

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ბავშს, არც მოზრდილ კაცს; იგი პატარა გრგვინვა გეგონებოდათ. იგი ხან გამოჩნდებოდა, ხან დაიმალებოდა, თითქოს მას ტყვია არ ეკარებოდა. მის გარშემო ტყვია ზუზუნობდა, მაგრამ ის მასზე უფრო მეტ სიმარდეს იჩენდა. იგი თითქო სიკვდილს მალულობიას ეთამაშებოდა.

დაბოლოს ერთი ტყვია მოხვდა, შეიძლება იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში უფრო კარგად ამოიღეს მიზანში, ან იმიტომ, რომ იგი სხვაზე უფრო მარჯვე გამოდგა. გავროში წაბარბაცდა, შემდეგ დაეცა და უკვე მეტი არ განძრეულა. პატარა ბავშმა გმირულად განუტევა სული...

პარიზის კომუნასაც ხომ ჰყავდა ასეთი მებრძოლნი...

ცნობილ ბარიკადას შატო დაოს (ახლანდელი რესპუბლიკის მოედანი), რომელიც იყო მთავარი გასავლელი გზა ვოლტერის ბაღისაკენ და რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იფარავდა კომუნარებს ვერსალელთა მიერ გამოსროლილი ყუმბარებისა და ტყვიებისაგან, იცავდა მცირე რაზმი, რომელთა შორის მთავარ ყურადღებას იქცევდა 14 წ. ახალგაზრდა, რომელიც მედგრად აფრიალებდა რაზმის დროშას ბარიკადების თავზე. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ის დაეცა მტრის ტყვიისაგან გულგაგმირული. მეორე ახალგაზრდამ სწრაფად აიღო დროშა და ავარდა ბარიკადების მაღალ ქვებზე. ის მრისხანედ გადაჰყურებდა უხილავ მტერს და ემუქრებოდა მას, მიუხედავად იმისა, რომ ჟაკლარი, ილასაბონი, ტეისი და ვერმოლერი დიდხანს ეძახდენ მას, რომ ჩამოსულიყო ძირს. ის უარს ეუბნებოდა მათ და განაგრძობდა თავის საქმეს, სანამ ტყვიამ არ ჩამოაგდო ძირს.

ერთი ახალგაზრდა ლეიტენანტი მოკლულ იქნა გმირული ბრძოლის დროს. 15 წლის ახალგაზრდა, გვარად დოტელი, სწრაფად დაეშვა ბარიკადების წინ, მიუხედავად იმისა, რომ სროლა ძლიერ სასტიკი იყო, თვალის დახამხამებაში აიტაცა მოკლული ამხანაგის კეპი და დაბრუნდა უკან.

ტამპლის მიდამოების ბარიკადაზე ყველაზე უფრო მეტი მამაცობა გამოიჩინა 14 წლის ახალგაზრდამ, რომელიც დამარცხების უკანასკნელ წუთებამდე განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას. როდესაც ხსენებული ბარიკადი ვერსალელებმა ჩაიგდეს ხელში, ყველა მისი დამცველი ვერსალელებმა კედელთან გააჩერეს დასახვრეტად. 14 წლის ახალგაზრდამ სთხოვა ვერსალელთა ჯარის ოფიცერს, სამი წუთი მიეცათ მისთვის, რომ მახლობლად მცხოვრები დედისათვის ვერცხლის საათი მიეტანა. ოფიცერმა მისცა მას ნება. დარწმუნებული იყო, აღარ დაბრუნდებაო, მაგრამ სწორედ სამი წუთის შემდეგ გაისმა დაბრუნებულის გაბედული ხმა: „აი, მე აქა ვარ!“ ის სწრაფად მივიდა კედელთან, სადაც ეყარა უამრავი გვამი მებრძოლ კომუნართა.



გავროში დაეცა და უკვე მეტი არ განძრეულა. პატარა ბავშმა გმირულად განუტევა სული..

რამდენი პატარა გამენი, გაბედული და მებრძოლი, განისვენებს დღეს თუ გნებავთ პარიზის იმ ძმათა სასაფლაოზე, რომელსაც პერლაშეზს უწოდებენ და რომელიც 1871 წლის კომუნარების უკანასკნელი თავშესაფარი იყო...

ძლიერ ბევრი...

ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს პარიზის გამენებს.

მაგრამ ახლა, დღეს?—ნუთუ საფრანგეთში არავინ არ არის ისეთი, რომელიც ჰგავდეს ძველ პატარა გამენებს, რომელიც მათ გზას მიჰყვებოდეს?

წყნარად! კვლავ გაისმის რევოლუციონური სიმღერის—კარმანიოლის ხმა, კვლავ მღერიან ბავშები წკრიალა ხმებით!

აი ქუჩის კუთხიდან გამოჩნდა ნორჩ პიონერთა კოლექტივი. მართალია, ისინი პატარები არიან, მაგრამ ეს არაფერია. ამ პატარა კომუნარებს დიდი და გაბედული გულები აქვთ.

ესენი საფრანგეთის პიონერები არიან. მათ კარგად იციან და ახსოვთ ძველი გამენები. ისინი ყოველნაირად ცდილობენ გაჰყვენ მათ სახელოვან მაგალითს.

აი ჩემს წინ დევს წერილი ფერდინანდის, სენდენის პიონერის. ის იწერება:

„ჩვენ ძლიერ სწრაფად ვიზრდებით. ახლა ჩვენი ჯგუფი თავის რიგებში ითვლის 85 წევრს. მხედველობაში უნდა მიიღოთ ის, რომ ჩვენ ყოველ წუთში და ყოველგან გვდევნიან, არ გვაძლევენ მუშაობის საშუალებას. ამას წინათ მასწავლებელმა მცემა მე და ჩემს ძმას პიერს იმიტომ, რომ ჩვენ ვავრცელებდით კლასში ჩვენს ჟურნალს „ნორჩ ამხანაგს“. ხოლო როდესაც გამოვედით დემონსტრაციაზე, რომ გამოგვეცხადებია პროტესტი სირიის წინააღმდეგ წარმოებული ომის შესახებ, პოლიციელებმა დაგვიწყეს დევნა და ცემა ჯოხებით... განსაკუთრებით ეს მე ვიგრძენი, რადგანაც მე ყველაზე წინ მივდიოდი დროშით ხელში„...

აი ერთი შენიშვნაც გაზეთიდან: „12 წლის ანდრე ობენს გადაუწყვიტეს 3 თვის ციხე იმიტომ, რომ ის ავრცელებდა კომუნისტურ ჟურნალს „იუმანიტეს“.

ერთი ფრანგი პიონერი, რომელიც იყო დელეგაციასთან ერთად ს. ს. რ. კავშირში, როდესაც დაბრუნდა პარიზში, სკოლიდან გამორიცხეს იმის გამო, რომ მან ჩვენი რესპუბლიკა ინახულა.

საშინელი მოპყრობა სკოლებში, პოლიციის მხრით დევნა, შევიწროვება ფაშისტების მიერ, — აი ის, რითაც უმასპინძლდებიან საფრანგეთის პიონერებს დღეს...

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი რიგები მაინც მრავლდება და ძლიერდება. პარიზის და საერთოდ მთელი საფრანგეთის პიონერები გააფრთებული ემზადებიან იმისათვის, რომ კვლავ ააფრიალონ ის წითელი დროშა, რომელიც მათ პარიზის კომუნამ უანდერძა.

ავსწიოთ ლენინის დროშა. გავსწიოთ მედგრად ლენინის გზით. ამ დროშით, ამ გზით ჩვენ გავიმარჯვებთ მთელ მსოფლიოში.

106
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის ზეიმზე.

(პირველი მაისი)

(სცენა: მთა, ძირს—ქალაქი. მოსჩანს ქარხნის მილები. აყვავებული ბუნება, სიოს სისინი; ფოთოლთ შრიალი ფრინველთ გალობა; გარიჟრაჟი... მრავალფრად განათებული არემარე. ფერად-ფერადი შუქი ერთმანეთს სცვლის. მაღლობზე მდგარი ქალი—მაისის მწვანე სამოსშია და წითელი ყვავილებითაა მორთული. მის ირგლივ ცეკვავენ ფერიები (თვეები) და გალობენ; მუსიკა...)

ხმები კულისებიდან. ო, გაზაფხულის პირველი თქმა,
ნეტარი მაისი,—პირთ იკოცნება;
ავროორამ აუწნა აბრეშუმის თმა,
და ტრფობით ჰშლის ფრთებს ოცნება...

ორი ჰეროლდი (აქეთ-იქით გამოირბენენ განზე გამდგარნი—აქეთ-იქით საყვირით გადასძახებენ).
დღეს მაისის პირველია!

მუსიკა. (შესაფერ ჰანგს დაუკრავს) ტარა, რა!..

ორი ჰეროლდი. სიხარული ზე შლის ხელებს!...

მუსიკა. ტარა—რა!

ორი ჰეროლდი. ყვავის თმა, ბარი, ველია!...

მუსიკა. ტარა—რა!

ორი ჰეროლდი. ტურფა მაისი გვახელებს!..

მუსიკა. ტარა—რა!

1-ლი ჰეროლდი. აღსდექი, ქალაქო, მაისის ყიჟინით
ბუნება გიშლის ქვეშ მწვანე საბანს!

მე-2 ჰეროლდი. აღსდექი, სოფელო, სიცოცხლის ყიჟინით
მზე სხივსა გტყორცნის ცის ცვარით ნაბანს!

(დადგებიან წინ წახრით, ერთი ფეხის უკან გადგმით, საყვირით ხელში, ვიდრე ქვემომყვანილი დასრულდება).

სიმღერა. (კულისებიდან) ლურჯი ღიმილით ელავს ლაჟვარდი,
სიო ქულაჯის იკეცს ყურთმაჯას;
მაისს გულს ღილად აბია ვარდი
და გაზაფხულზე ისინჯავს მაჯას...

ორი ჰეროლდი. (სწრაფად წინ წამოვლენ).
სმენა! სალამი! ქუდები ზევით!
ნეტარ ზეიმზე მოდის მაისი!
ხალხო! ხარობდეთ მარადი ძლევით,
თავს საგვირგვინოდ გედგმით აისი!..

(გავლენ აქეთ-იქით ნელ-ნელა. თენდება. ყველაფერი ჭქრება. ქალ-ვაჟი შემოირბენენ ხელჩაკიდებულნი, სიცილ-კივილით.)

პიონერი ვაჟი. (მკლავებს გაშლის)
ო, სიხარულო, მთაზე ვართ შვებით,
ნელლი, შეხედე ქალაქს იქ, დაბლა;
შეხედე ქუჩებს, მორთულს დროშებით,
მტრებს რის გამოთაც ეცემათ დამბლა!..

პიონერი ქალი. დღეს მაისია... პირველი დღე...
მშრომელებს იწვევს ზეიმზე;
სისინებს სიო... შრიალებს ტყე
ფირუზ ცის სარკის ციმციმზე...
(ყვავილებს ჰკრეფს).

პიონერი ვაჟი. რათ დაიგვიანეს ჩვენებმა?
(გადახედავს დაბლა).

პიონერი ქალი. აგერ, ალე, მოდიან...

პიონერი ვაჟი. (გადასძახებს) აქეთ, აქეთ, ამხანაგებო!..
(პაუზა) შეხედე, ნელიკო, შესვენებულ ქარხნებს, როგორ ამაყად გამოიყურებიან, რომ ხვალ უფრო მძლავრად ააგუგუნონ საყვირი.
(დასხდებიან. ქალაქს გაჰყურებენ).

ყველა. (ჯერ გარედან მოისმის სიმღერა და მერე თანდათან შემოდიან).
ძმებო, გვეხვევა ყელზე
მზის სხივი ბანტად;
ამ მთიდან ვისვრით ველზე
სიხარულს გასაფანტად...

1. აპა, მოვექეცთ თავზე ამ ქედებს,
რომელსაც ედგმის ცა ლურჯ კამარად,
სადაც ღრუბლები ჰგვანან თეთრ გედებს,
და ცისარტყელა უვლის ქამარად...
(ქალ-ვაჟს შეამჩნევს)
მაგრამ, ჩუ! აბა იმათ შეხედეთ.

2. აა, აი სად არიან თურმე... (თან ამოტანილ წითელ დროშას მიაყუდებს, სხვებიც დააწყობენ ამოტანილ ჩაჭუჩს, ნამგალს, გრძელ ლენტს (დახვეულს), ყვავილებს, ხორაგეულს და სხვა).

3. სსუ... ჩუმად... (ეპარება, მოულოდნელად ხელებს დაირტყავს ფრთებივით და მამალივით დაიყივლებს) ყიყლიყო!

პიონერი ქალი. აჰ, როგორ შემაშინე, გოგი...
(ასტყდება სიცილი).

პიონერი ვაჟი. ამოხვედით უკვე? (ადგება).

2. ჩვენ კი ამოვედით, მაგრამ თქვენ აქ საიდან?

პიონერი ვაჟი. მოკლე ბილიკით, აგერ, იქიდან...

2. ისე იყავით გართული, რომ ვერც კი შეამჩნიეთ ჩვენი ამოსვლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი ქალი. ბუნების სილამაზე ვის არ დაატყვევებს!

2. ჰო, კარგი, ვიცი... (სიცილი)

3. პაპა რა იქნა აქამდის?

4 პაპა? (გადახედავს) აგერ, ამოდის... შემოეხვევიან მუშას, რომელიც საგზალით შემოვა და ჯდება, ოფლს იწმენდს)...

3. დაიღალე, პაპა?

მოხუცი. თქვე ცელქებო, ვის არ დაღლით...

4. ცოტა დავისვენოთ და მერე ვისაუზმოთ... აბა, შენ, ქეთინო, მოდი მიშველე და გავშალოთ სუფრა მწვანეზე... აი პაპა, შენ ხომ გიყვარს, ღვინოც წამოგიღეთ...

მოხუცი. დღეს ყველა მუშები გაიკრიბებიან ქალაქის გარე უბნებში, მინდვრებზე, მთებზე—მაისობის გასამართავად... ღამღამობით ხშირად ვყოფილვარ აქ, როცა ფარულ კრებებს ვაწყობდით ხოლმე, ვირაზმებოდით და ვსწავლობდით თავისუფლებისათვის ბრძოლას. მაისობას ხომ აქ დიდი ამბავი გქონდა ხოლმე... (პაუზა. ჩიბუხს იკეთებს, მოთამაშენი შემოეხვევიან, ეხვეწებიან, რომ უამბოს მაშინდელი ამბავი).

3. სთქვი, პაპა, გვითხარი...

პიონერი ქალი. ჰო, აბა, მამილო.

მოხუცი.... ჩემო გოგონი, მეც იმიტომ წამოგიყვანეთ შენა და შალიკო თქვენი ამხანაგებიანად აქ. ეჰ, თქვენ რა გიჭირთ, ახლანდელ ახალგაზრდობას: თავისუფლება მოპოვებულია, მშრომელთა ხელისუფლებაა, იზრდებით ნებიერად, სწავლობთ, ხარობთ; ჩვენ დროს ასე არ იყო... მაშინ მხოლოდ მონობა, შიმშილი, ციხე, კატორღა, სარჩობელა, სიბნელე... აი რა ჰქონდა მეფეს და ბურჟუაზიას ჩვენთვის. ახლა მზადა ვარ ვიხტუნო, ვიცეკვო, ვიფრინო... თქვენზე უფრო ახალგაზრდად ვგრძნობ თავს, მაშ რა გგონიათ, თქვე ეშმაკებო, თქვენა... (მღერის)

გული ბუდეში არ დგება,
ზე მიტაცებს სიხარული;
წარსული ბრძოლებში ტყდება
და დღეს ვმღერი სიყვარულით...

(სიცილი, მხიარულება—ზოგი რას თამაშობს, ზოგი რას, ზოგი ყვავილებს ჭკრეფს, მოხუცი მუშაც აჰყვება).

მომეცი ყანწი,
დავლოცო მინდა

როგორ დღესასწაულობენ პირველ მაისს...

107 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშები ანცი
და ბრძოლა წმინდა...
(ყანწს დაავლებს ხელს. ტაში, მხიარულობა).

2. გინდა, ეთერ, წყაროზე გადავირბინოთ...
(ჭურჭელს აიღებს)

5. სადა?

2. აგერ, აიქ, ხევში... ისეთი ცივია, რომ...
(გარბიან).

6. მეც, მეც... (გამოუდგება, სხვები საუზმობენ, მერე ერთი გიტარაზე, ან მანდალინაზე დაუკრავს, გაისმის ტაში. ცეკვავენ; ამასობაში წყაროზე წასულნიც დაბრუნდებიან; დაუსრულებელი სიხარულია... ამბობენ ლექსებს—ვინც რა იცის, მღერიან, ტანვარჯიშობენ და სხვა)...

7. პაპა, პაპა, გვიამბეთ რამე მაისის შესახებ, საიდან წამოდგა ეს ზეიმი, მუშების დღეობა, ან რატომ პირველი მაისია ამორჩეული და არა სხვა დღე...

2. ჰო, მამილო, აბა, დაიწყე, შენ რომ იცი ხოლმე თქმა...

4. ჰო, კარგი... სიჩუმე...

მოხუცი. დღევანდელი დღის სიყვარული ვის რას არ ათქმევინებს, როდესაც აღტაცების ფრთები გესხმის და უკვდავებაზე მღერი... დღეს ისეთი ზეიმია მშრომელი ხალხის, რომ... დეე, ყველამ დაინახოს, რომ ჩვენ ვიცით სამი რამ: ბრძოლა, შრომა, ზეიმი.

ყველა. ვაშა ბრძოლას! დიდება შრომას! სალამი ზეიმს!

2. და მართლაც, ამხანაგებო, რა სჯობს ბუნების ლამაზ წიაღში მაისობას?.

3. მოიცა, შალიკო...

4 დაიწყე, პაპა...

მოხუცი. მაისი. ო, რამდენი სისხლია დაღვრილი ამ დღის გამარჯვებისათვის... აი ის წითელი დროშა, რომელიც ახლა გამარჯვების გრიგალზე საამოდ არხევს კალთებს, ვინ იცის, რამდენ ათასეულ ბრძოლაში იფლითებოდა ტყვიის ზუზუნში, ცეცხლმოკიდებულ ბარიკადებზე...

ლეგენდა ამბობს, რომ ოდესღაც თეთრი ყოფილა, თეთრი პერანგი მუშის, რომელსაც ჯალათებმა იმდენი სისხლი ადინეს, რომ გაწითლდა და მისმა შემდეგმა თაობამ, რა აჯანყება ალმართა შურისძიებად, დაღუპული მუშის საფლავზე ობლად ამოსული ლერწამი ასჭრა ტარად, ის პერანგი დროშად ააფრიალა ზედ და შეჰფიცა: მანამდე არ დავუშვებ და სულ მაღლა ვატარებ, სანამ მთელს მსოფლიოში არ აღვგვი მშრომელთა მტერს და სანამ მზის კოცნით ისევ არ გათეთრდება და არ დაესობა ახალი ქეყეყნის, შრომის მეუფების, ბასტიონზეო...

და, ეს მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენ დაწყებულ საქმეს თქვენ, მომავალი თაობა, დაამთავრებთ... (ტაში)

პირველი მაისი არის ინტერნაციონალის დღე, რომელიც დააწესა მეორე ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა 1889 წელს. პირველად მუშებმა ეს თავისი დღესასწაული, რომლის დღედაც ამორჩეულ იქნა პირველი მაისი, იუქმეს 1890 წელს, პარიზში, მისი ლოზუნგები იყო მოწოდება მთელი ქვეყნის მშრომელთადმი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, „რვა საათის სამუშაო დღე„ და სხვა... (პაუზა)

ჩვენ თუმცა გავიმარჯვეთ, ჩემო საყვარელო პატარა ამხანაგებო, მაგრამ ჩვენი უცხოელი ამხანაგები კვლავ განიცდიან დევნას; ჩვენ აქ თავისუფლად ვზეიმობთ პირველმაისობას, მაგრამ ისინი დღეს ქუჩებზე კვლავ სისხლს ღვრიან თავისუფლებისათვის და ჩვენ მათ დასახმარებლად უნდა ვიყოთ მზად!

ყველა. მზადა ვართ მარად!

მოხუცი. მახსოვს, აქ ვაწყობდით ხოლმე მაისობას, ქეიფს, შეფის დაგეშილი ჯაშუშების თვალის ასახვევად ვთამაშობდით ბურთს და სხვას, ჩუმად ვმართავდით ხოლმე ფარულ კრებებს... აიმ გორის გადაღმა ირაზმებოდა და იჭედებოდა დღევანდელი გამარჯვება... ჩვენ მაშინ ასე ვმღეროდით:
(სიმღერას იწყებს. ყველანი აჰყვებიან)

ყველა. დეე, მტარვალმა დღეს იხარხაროს.
ძმებო, ჩვენ მაინც განვაგრძოთ ბრძოლა;
დე, ჩვენი სისხლი ჯალათმა ღვაროს,—
მალე იმასაც მოელის ძრწოლა!..

—:—

ბორკილებს დალეწს ჩვენი შეტევა
და ავაფეთქებთ სარჩობელებსა;
ჯალათს, ქონში რომ ვეღარ ეტევა,—
გადვუგრეხთ სისხლში გასვრილ ხელებსა!..

მოხუცი. და, აი ძვირფასო ბავშებო, ჩვენ მივაღწიეთ ამას. ჩვენი დიად რესპუბლიკათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის მშრომელნი დღეს ჩვენთან ერთად აგუგუნებენ: (იწყებს, სხვები აჰყვებიან)

ყველა. დღეს კვლავ გამოვალთ ქუჩებზე
პირველ მაისის ყიჟინით;
ამოვალთ მთის ქუჩუჩებზე,
რომ შევძრათ სამყარო ლხინით!..
(ხელს ჩაჰკიდებენ)

—:—

ჩვენთან ერთად მღერს ბუნება,
იცინის წითლად მნათი მზე;
მაისი გვესალბუნება
და ყველას ვიწვევთ ნადიმზე!...

(გაჩაღდება კვლავ ცეკვა და სწრაფად ორნი აიყვანენ ერთს, ხელებზე დაიყენებენ, მეორე ხელს გაშლიან ღიმილით; მაღლა ასული დაიჭერს დროშას; ორნი კიდევ აქეთ-იქიდან მოუდგებიან ჩაქუჩით და ნამგლით; ორნი აქეთ-იქიდან დაიჩოქებენ—ყვავილებით; ღიმილით შესცქერიან; ერთი აიღებს დახვეულ წითელ ლენტს და ჰშლის შემდეგნაირად: წვერს დააჭერინებს მაღლა მდგომს, ჩაიტანს დაბლა, მარჯვნივ მდგომ ნამგლიანს ამოსდებს ფეხზე, აიტანს და მარცხნივ ჩაქუჩით მდგომს ხელზე გამოსდებს, აქედან მარჯვნით ნამგლიანს გამოსდებს ხელზე, აქედან მარცხნივ მდგომს, ჩაქუჩიანს, ამოსდებს ფეხში და აიტანს, კვლავ მეორე წვერს ზემოთა მდგომს დააჭერინებს. კეთდება ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომლის გულშიც, უკანიდან, ჩაქუჩ-ნამგალს დაიჭერენ ჯვარედინად; ლენტის გამშლელი წინ დაიჩოქებს წიგნით; ეს ყველაფერი ხდება სწრაფად, ერთსადაიმავე დროს; მღიმარე სახეები; მოხუცი, აქამდის რომ ღიმილით შესცქეროდა, სწრაფად უკან მოუდგება, მაღლობზე, და ხელებს გაშლის მფარველად).

მოხუცი. ო, გიხაროდეს მშრომელთა მხარევ,
რომ გეზრდებიან ასეთი შვილნი;
მაისო, ტრფობით ნაზად მთვლემარევ,
გშვენის კომუნის ვარდები შლილნი!..

ორივე ჰეროლდი. (სწრაფად აქეთ-იქიდან გამოვლენ. საყვირით)
სმენა! მაისი იწევს სულ ზევით,
ო, ჩვენი აღთქმის ფიცი იდება;
მღერის კომუნა ნეტარი ძლევით,
და შრომის ქვეყნის ბრწყინავს დიდება!..

ყველა. ძველ მებრძოლების მოვდივართ შეცვლად,
როგორც თქვენ, ისე ჩვენც **არ** გვწამს
დაღლა;
მაისის ტრფობით მზადა ვართ წინსვლად,
ვაშა ჩვენს კავშირს, ქუდები მაღლა!..
(მუსიკაზე ინტერნაციონალის ჰიმნი)

ფ ა რ დ ა

ს. ერთაწმინდელი.



მიწის ფიალები

(დასასრული)

ძია ანდრიამ ვილაცას გასძახა „გამარჯობა, ტერეზა“, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო და მუშები აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდენ.

ყოველთვის, როცა კი ქვევით ჩავიდოდა, ვასო რაღაც ჩუმს ნაღველს ეძლეოდა. ეს გრძელი შავი დერეფნები მას უსაზღვრო ეგონა. ხანდახან სადღაც შორს გაიელვებდა უმწეო მკრთალ წერტილივით ლამფა, უცბად გაქრებოდა და მერე ისევ გამოჩნდებოდა. ფეხის ხმა ყრუდ და უცნაურად ისმოდა. ჰაერი ნოტიო, ცივი და სულის შემხუთავი იყო. ზოგჯერ კედელში წყლის ჩუხჩუხი ისმოდა და მის სუსტ ხმებში ვასოს ყური რაღაცა ბოროტი მუქარის ნოტებს იჭერდა.

108

ანდროს და ბერძენს მისდევდა ვასო. მათი ლამფები, სიარულისას რომ აქნევდენ, დერეფნის მოლიპულ და ობით დაფარულ კედლებზე მკრთალ ყვითელ ლაქებს ისროდენ და ლაქებში წინ და უკან ქანაობდა მათი სამი უზარმაზარი მახინჯი და გაურკვეველი ჩრდილი.

უნებურად აგონდებოდა ვასოს ყველა საიდუმლო გადმოცემანი მაღაროს წარსულ ცხოვრებაში მომხდარი უბედურებისა; აი, აქ დაიღუპა ოთხი კაცი, თაღი რომ ჩამოინგრა.

ხნიერი მუშები მოუთხრობდენ ამბავს ერთს მოხუც მუშაზე, რომელსაც ოდესღაც გზა აებნა გვირაბებში, თუმც ზედმიწევნით იცოდა გზები; სამი დღის შემდეგ ეპოვათ იგი სიმშილისგან დასუსტებული და ჭკუაზე შერყეული.

— რას იტყვი, ივანე, კარგად იქეიფე?—ჰკითხა ძია ანდრიამ სიარულში „ბერძენს“.

„ბერძენმა“ არა უპასუხა რა, მხოლოდ ზიზღით გადმოაფურთხა.

სამუშაო ადგილამდის თითქმის კილომეტრ-ნახევარი იყო.

შეუხვია რა ჯგუფმა მთავარი გვირაბიდან, კიდევ დიდხანს იარეს ვიწრო და მუხლიანი გვირაბებით. აქა-იქ დაღუნვაც კი მოუხდათ, რომ თავი არ აეკრათ ჭერისთვის. ჰაერი თანდათან უფრო ნესტიანი და სულშემხუთავი ხდებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, მიაღწიეს დანიშნულ ადგილს. აქ, ვიწრო და მჭიდრო ხვრელში, არც ფეხზე დგომით შეიძლებოდა მუშაობა და არც ჯდომით; ამიტომ ზურგზე უნდა დაწოლილიყვნენ და ამგვარად ემტვრიათ წერაქვებით ქვანახშირი. ამგვარად მუშაობა ყველაზე ძნელი და მძიმეა მაღაროში. ძია ანდრომ და „ბერძენმა“ ნელ-ნელა და უსიტყვოდ გაიხადეს ტანისამოსი, გატიტვლდენ წელს ზევით, ლამფები კედლის გამოშვერილ ქიმეზე ჩამოჰკიდეს და ერთად დაწვენ.

„ბერძენი“ ცუდად გრძნობდა თავს; მთელს სხეულში რაღაც ყრუ ტკივილები უვლიდა, თითქოს ვისმეს ჯოხით ეცემოს, ხელები ძლივს ემორჩილებოდა, თავი მძიმე ჰქონდა, თითქოს ტყვიით გაეტენოთ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ბერძენი“ მემაღაროეს სახელს არ უღალატებდა, არავითარ სისუსტეს არ გამოამჟღავნებდა.

ის უსიტყვოდ, გულმოდგინედ ანგრევდა ქვანახშირს.

ზოგჯერ თითქოს თავდავიწყებას ეძლეოდა, ყველაფერი ჰქრებოდა მისთვის, ნახშირის ქიმების მკრთალი ბრწყინვაც, დაბალი გვირაბიც და მის გვერდით მოწოლილი ძია ანდროც. მისი ტვინი თითქოს იძინებდა, მაგრამ მკლავები ძლიერი და მოხერხებული ქნევით შეჩვეულ მუშაობას განაგრძობდენ. ანგრევდა რა ფენა-ფენად ქვანახშირს, „ბერძენი“ თანდათან წინ მიცურავდა და უკან სტოვებდა თავის სუსტ ამხანაგს.

წვრილი ნახშირი შხეფებივით იფანტებოდა აქეთ-იქით წერაქვის თვითეულ დარტყმაზე და მის გაოფლიანებულ სახესაც ეფინებოდა.

„ბერძენი“ ერთი წამით მაშინ შეაჩერებდა მუშაობას, როცა დიდ ლოდს მოსტეხდა, რათა ფეხით უკან გადაეგდო და გაბოროტებული ენერგიით ისევ განაგრძობდა მუშაობას.

ვასომ უკვე ორჯერ აავსო გოგორა ქვანახშირით და მთავარ გვირაბში გაიტანა, სადაც ნახშირის უზარმაზარი გროვა იყო დამდგარი, გვერდის გვირაბიდან გატანილი.

როცა იგი მეორედ ბრუნდებოდა ცარიელი გოგორით, შორიდანვე გააკვირვა რაღაც უცნაურმა ხმაურმა, რომელიც ხვრელიდან მოდიოდა: ვიღაც კვნესოდა და ხრიალებდა, თითქოს ახრჩობენო.

ვასოს ჯერ თავში გაუელვა, იქნებ ძია ანდრო და „ბერძენი“ წაიჩხუბენო და შეშინებული შედგა, მაგრამ ამ დროს ძია ანდროს აღელვებული ხმა მოესმა:

— რაღას დადექი, ბიჭო? მოდი ჩქარა აქ.

ვანო „ბერძენი“ საშინლად იკლაკნებოდა მიწაზე, სახე გალურჯებოდა, მოკუმული ტუჩებიდან ქაფი გადმოდიოდა, თვალები ფართედ გაეღო და თვალის გუგას მაგიერ თეთრი კაკლები უჩანდა.

ძია ანდრო მთლად დაიბნა, ხელში იღებდა „ბერძენის“ გაციებულ, მთრთოლვარე ხელს და თხოვნით ჩასძახოდა:

— ვანო!.. კარგია, გეყოფა... ჰა, კარგია... კარგი...

საშინელ ბნედას მოევლო „ბერძნისთვის“; იგი ხან რკალივით მოიღუნებოდა და მხოლოდ ქუსლებით და თავით დაებჯინებოდა მიწას, ხან ისევ მძიმედ დაეცემოდა და დაიგრიხებოდა, ხან ჯოხივით გაიჭიმებოდა.

— აი, ამბავი,—წაილუღლუღა შეშინებულმა ძია ანდრომ.—ვანო, კარგია, გეყოფა... ყური მოიგდე... მერე რა უცბად, ან.. — კირპატო, მოდი შენ აქ დარჩი, ყური უგდე და მე კი ხალხს დავუძახებ.

— მაგრამ, ძიავ, მე როგორ დავრჩე?—საცოდავად წამოილაპარაკა ვასომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრს ნულაპარაკობ! გითხარი, იყავი მეთქი, მორჩა და გათავდა, — მრისხანედ დაუყვირა ძია ანდრომ, საჩქაროდ წამოავლო ხელი თავის ტანსაცმელს და გაიქცა, თან გზადაგზა იცვამდა.

ვასო მარტო დარჩა. რამდენი ხანი გავიდა, მან არ იცოდა, კუთხეში იყო მიკუჭული და განძრევა საც კი ეშინოდა. ბოლოს „ბერძენმა“ უკლო აქეთ-იქით ხეთქებას და ნელ-ნელა მოსულიერდა, ღრმად ამოისუნთქა და უძრავად გაიჭიმა.

ახლა უფრო შეშინდა ვასო. „ხომ არ მოკვდა!“ — გაიფიქრა მან და თმები ყალყზე დაუდგა.

სუნთქვაშეკრული ძლივს მიცოცდა ავადმყოფთან და ტიტველ მკერდზე ხელი შეახო: მკერდი ცივი იყო, მაგრამ მაინც ადიოდ-ჩადიოდა.

— ძია ვანო, ჰაი, ძია ვანო! — წაიჩურჩულა ვანომ.

„ბერძენი“ ხმას არ იღებდა.

სადღაც, მახლობელი გვირაბებიდან, აჩქარებუბული ფეხის ხმა მოისმა.

„ძია ანდრო მოდის“, — გაიფიქრა ვასომ, მაგრამ მოტყუვდა. რომელიღაც მუშამ შემოიხედა ხვრელში და ლამფით გაანათა.

— ვინ არის აქ? ჩქარა ზევით ამოდით! — დაიყვირა მან აღელვებით და ბრძანებით.

— ძიავ, ძიავ, „ბერძენს“ რაღაც დაემართა... წევს და არას ამბობს! — მივარდა უცნობ მუშას ვასო.

მუშა მიუახლოვდა „ბერძენს“ და დახედა.

— ჰეი, ვანო, ადექი, — დაუყვირა მან და ავადმყოფი შეანჯღრია. ადექი, რაღა! მესამე ნომერში გვირაბი ჩამოინგრა, გეყურება, ვანო?...

„ბერძენმა“ რაღაც წაილუღლუღა, მაგრამ თვალები არ გაახილა.

— აბა, სადა მცალია ამისთვის! მოუთმენლად წამოიძახა მუშამ.

— გაალვიძე, პატარავ, და ჩქარა წამოდით, თორემ იქნება აქაც ჩამოინგრეს და თაგვებივით დაიღუპებით.

მუშა გავიდა ხვრელიდან და მალე მიწყდა მისი ფეხის ხმაც.

ვასომ ნათლად წარმოიდგინა თავისი საშინელი მდგომარეობა, ყოველ წამს შესაძლებელი იყო ჩამონგრეულიყო ზევიდან დაწოლილი რამდენიმე მილიონი ფუთი სიმძიმის მიწა; გაიჭყლიტებოდა ჭიასავით; შემდეგ სიკვდილი, საშინელი, ულმობელი სიკვდილი!...

სასოწარკვეთილი მივარდა ავადმყოფს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნძრევა დაუწყო.

— ძია ვანო, ძია ვანო, გაიღვიძე, გაიღვიძე! — უყვიროდა ვასო ხმამაღლა.

მისი მახვილი ყური არჩევს მარჯვნივ და მარცხნივ გვირაბში აჩქარებულ-არეულ ფეხის ხმას. ყველა მუშები გასასვლელისკენ მიეშურებიან, ისევე შეშინებულები, როგორც თვით ვასო.

ძლივს-ძლივობით შედო ვასომ გონებაწასული ბერძენი სანახშირე გოგორაზე...

ერთს წამს ვასომ გაიფიქრა გაქცევა, მაგრამ რაღაც გრძნობამ შეაყენა.

კიდევ სცადა ავადმყოფის გონებაში ჩაგდება, მაგრამ მისი თავი მორჩილად ირხეოდა აქეთ-იქით, მკლავი ძირს ეცემოდა. ამ დროს ვასოს ყურადღება სანახშირე გოგორამ მიიპყრო და ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში. მოიკრიბა მთელი ძალა, ასწია ავადმყოფი და ძლივს-ძლივობით შედო გოგორაზე, ფეხები აქეთ-იქით გადაუდო და, როგორც იყო, რის ვაი-ვაგლახით გამოაგორა ხვრელიდან.

გვირაბები დაცარიელებულიყო.

სადღაც, წინ, კიდევ ისმოდა დაგვიანებული მუშების ფეხების ტყაპატყუპი.

ვასო მირბის, სჭიმავს ძარღვებს, წონასწორობას იცავს.

ყმაწვილური ხელები უდუნდება, ჰაერი არ ჰყოფნის, საფეთქლებში ჩაქუჩები სცემს, თვალებში ცეცხლის რგოლები უტრიალებს.

უნდა შედგეს, დაისვენოს, ხელმარჯვედ ჩაეჭიდოს გოგორას სახელურებს; „არა, არ შემიძლია“ — ამბობს თავისთვის.

109

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილი მოსდევს კვალდაკვალ, უკვე გრძნობს მისი ფრთების შრიალს.

აი უკანასკნელი შესახვევიც, აგერ შორს ჩირაღდნის წითელმა შუქმა გაიელვა, ბაქანს რომ უნათებს.

ხალხი ირჩევა ბაქანზე. ჩქარა, ჩქარა!

ერთი უკანასკნელი შეტევა და...

რა ამბავია? ბაქანი ზევით მიდის... აგერ, გაქრა კიდეც.

— მოიცადეთ, დადექი! — იძახის ხრიწიანი ხმით ვასო. ცეცხლის რგოლები უზარმაზარ ალებად გარდაიქცა მის თვალებში. ყველაფერი ინგრევა, დამაყრუებელი გრიალით ცვივა...

ვასო მხოლოდ ზევით მოვიდა გონს. ვილაცის ცხვრის ქურქში წევს, გარს ხალხი ახვევია. .

უცნობი კაცი საფეთქლებს. უზელს, დირექტორი კარლ ფრანცის ძეც აქ არის. მან შეხედა ვასოს თვალებში და თბილად უთხრა:

— ოჰ, ჩემო გულადო ბიჭიკო!

ეს სიტყვები, რასაკვირველია, არ ეყურება ვასოს, მაგრამ სამაგიეროდ თვალი მოჰკრა ბრბოს უკან რიგებში „ბერძენის“ ფერმკრთალ და შეშინებულ სახეს. ურთიერთ შეხედვამ ეს ორი ადამიანი საუკუნოდ დააკავშირა ძლიერი და ნაზი გრძნობით.

ა. კ.

ვემზადოთ გავშთა საერთაშორისო კვირეულისათვის.

15 მაისიდან 22 მაისამდე ჩვენ ვდღესასწაულობთ ბავშთა მეშვიდე საერთაშორისო კვირეულს.

შვიდი წელია მას შემდეგ, რაც მთელი ქვეყნის პროლეტარული ბავშები გამოდიან საზღვარგარეთ დემონსტრაციებზე ლოზუნგებით, რომელიც მიმართულია არსებული კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, რომელიც მოუწოდებს მუშათა კლასს სრული თავისუფლების მოპოვებისაკენ, მშრომელი ბავშების ცხოვრების და სწავლის ბურჟუაზიის ბატონობისაგან განთავისუფლებისაკენ, ხოლო ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, კი სამი ბოლშევიკურ-ლენინური თაობის კიდევ უფრო შემჭიდროებისაკენ, ერთმანეთთან შემჭიდროებისაკენ მოუწოდებს, რომ პიონერებისგან მუშათა კლასის და გლეხობის ერთგული შემცვლელი ძალა მოამზადონ.

შვიდი წელია, რაც პროლეტარული ბავშები ჩადგენ საერთაშორისო მებრძოლი ორგანიზაციის — ნორჩ პიონერთა რიგებში და თავისი ცხოვრება დაუკავშირეს მთელი ქვეყნის მუშათა და გლეხთა ცხოვრებას და ბრძოლას.

შვიდი წელია, რაც ნორჩი პიონერები მოზრდილ მუშებთან და გლეხებთან ერთად აწარმოებენ ბრძოლას მთელი მშრომელი ბავშების კომუნისტური აღზრდისათვის, აქცევს რა თავის გავლენის ქვეშ სულ ახალ და ახალ ასეულ და ათასეულებს, აცლის რა ძველი ოჯახის გავლენას მათ.

ბავშთა მეშვიდე საერთაშორისო კვირეულის საბრძოლველი ლოზუნგები შემდეგი უნდა იყოს:

1) გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პიონერების ძმურ სოლიდარობას!

2) გაუმარჯოს ბავშთა კომუნისტურ აღზრდას,

3) გაუმარჯოს მესამე თაობის მტკიცე შეკავშირების შვიდი წლის თავს!

4) გაუმარჯოს კომპარტიის და კომკავშირის ჯანმრთელი შემცვლელი ძალისათვის ზრუნვის შვიდ წელს!

ჩვენ ვიცით, რომ მრავალი ასეული საუკეთესო აქტიური პიონერი ამ დღეს გადაირიცხება კომკავშირში და მისი ღირსეული წევრი გახდება.

ჩვენ ვიცით, რომ პიონერები ემსახურებიან ახალი კულტურის და ახალი ყოფის გავრცელებას ჩვენს საზოგადოებაში. ამ დღეს ისინი ჯამს გაუკეთებენ თავიანთ მუშაობას ამ დარგში.

ჩვენი ქვეყნის პიონერები აგრეთვე არ ივიწყებენ დაჩაგრული ქვეყნების ბავშებს. ისინი ყოველგვარად ამტკიცებენ მასთან ძმურ კავშირს.

პიონერებს კარგად ახსოვთ და იციან, რომ მათ თავიანთ მუდმივ უფროს ამხანაგად, დამხმარედ და ხელმძღვანელად ჰყავთ ლენინური კომკავშირი.

მათ კარგად იციან, რომ ბოლშევიკური ლენინური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს ნორჩ თაობას, თვალყურს ადევნებს მის სწავლას და მუშაობას და ამავე დროს ყოველგვარად ეხმარება და ხელს უწყობს მას მუშაობაში.

ნორჩო ამხანაგებო! ამ აზრით და რწმენით გამსჭვალულნი ემზადეთ ბავშთა საერთაშორისო კვირეულისათვის.

კ. ვასაძე.

ჩვენი გელადეგი

ამხ. ი. სტალინი—ჯუღაშვილი

ამხ. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი—ჯუღაშვილი დაიბადა 1879 წელს, გლეხის ოჯახში, ტფილისის გუბერნიაში. ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან-ვე იღებს მონაწილეობას რევოლუციონურ მოძრაობაში. 19 წლის ახალგაზრდა შედის ტფილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში.

რევოლუციონური მუშაობის გულისათვის ამხ. სტალინი რამოდენიმეჯერ იყო დატუსაღებული, ხოლო 1902 წელს გადასახლებულ იქნა ციმბირში. გადასახლებიდან ამხ. სტალინი გამოიქცა და კვლავ დაიწყო რევოლუციონური მუშაობა. ოთხჯერ ჩაუვარდა პოლიციას ხელში და ოთხჯერ გადაასახლეს ციმბირში, მაგრამ ყოველთვის გამორბოდა იქიდან.

დაბოლოს, 1913 წელს, გადასახლებულ იქნა ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს შორეულ ნაპირებთან, სადაც იმყოფებოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

შემდეგ ამხ. ლენინთან ერთად მუშაობას აწარმოებდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის მოსახდენად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის ხელმძღვანელ მუშაობას აწარმოებდა პარტიაში, წითელ არმიაში და სახალხო კომისართა საბჭოში, სადაც ის დიდ უნარიანობას და ცოდნას იჩენდა.

დღეს ამხ. სტალინი საკავშირო კომპარტიის გენერალური მდივანია.

პიონერთა სიმღერა

მოვქრით პიონერები
მშვენ კომუნის სალამზე;
ჩვენით ანამღერები
გვკოცნის ცით ცხრათვალა მზე.

—

ვახმაურებთ ურჩ ქუჩებს
ლამაზ წითელ დროშებით;
დაგვხარის, თმაქუჩუჩებს,
თავისუფლება შვებით.

—

სინათლის ჩირაღდნით ვფრენთ,
ვაგებთ ვარდისფრა ანძებს;
ზედ ცეცხლის აფრებს ვშლით, ვფენთ
და ვიხმობთ ჩვენებრ ანცებს.

ოქტომბრის ყვავილები,
ვქარგავთ სიამით სოფელს;
მუშა და გლეხთ შვილები
ვასახელებთ ჩვენს მშობელს.

—

ქალაქს სიტურფით ვამკობთ,
წინსვლად ვისხავთ ელვის ფრთებს,
და ჩვენს ნორჩ სიტყვას ვამბობთ,
ვქმნით მშრომელთ დიდების მთებს.

—

ახალ ცხოვრების ველებს
ვევლებით ლურჯ კამარად;
მღერით მაღლა ვწევთ ხელებს
და ვყივით: „მზად ვართ მარად“.

სეზმანი

110
ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა საოჯახო

სასკოლო კოოპერატივი

ყველგან უნდა მოვაწყოთ კოოპერატივები.

სასკოლო კოოპერაციას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვია აღზრდის საქმეში. ის აჩვევს ბავშვებს კოლექტიურ მუშაობას, ასწავლის მათ იმას, რომ ყოველგვარი საჭირო ნივთი შეიძინონ კოოპერატივში და არა კერძო ვაჭართან.

სასკოლო კოოპერატივი შეძლებისდა გვარად ინახავს იმ კაპეიკებს, რომლებსაც ბავშვები ღებულობენ თავისი მშობლებისაგან და რომლითაც სასკოლო კოოპერატივი, ისევე, როგორც მოზრდილთა კოოპერატივი, ხშირად ურთიერთდამხმარე საშვალება ხდება: როდესაც რომელიმე პიონერს ან მოწაფეს არ აქვს ფული, რომ შეიძინოს სკოლაში საჭირო და აუცილებელი ნივთები, როგორიცაა, მაგ. სახელმძღვანელოები, რვეულები, ფანქრები, კალმისტარები. კალმები და სხვა, — მაშინ კოოპერატივს მოგებული ფულით შეუძლია მისცეს მას ასეთი ნივთები უფასოდ.

აქედან ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ ის მეტად დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს სასკოლო კოოპერატივს. ამიტომ დღეს ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ იმ სკოლებმა, რომლებსაც არ აქვთ აქამდე სასკოლო კოოპერატივები, აწი მაინც ყოველგვარი ზომები მიიღონ მის მოსაწყობად. სასკოლო კოოპერატივები აუცილებლად უნდა არსებობდეს ყველა სკოლასთან.

როგორ უნდა მოვაწყოთ სასკოლო კოოპერატივები?

კოოპერატივის მოწყობა ძნელი არ არის. საჭიროა ამ საკითხის საერთო კრებაზე დასმა, წესდების გამომუშავება და მსურველთა წევრებად ჩაწერა.

ყველას, ვინც შედის კოოპერატივში, შეაქვს პირველად საწევრო გადასახადი და საერთო კრებაზე ირჩევს გამგეობას (სამ ან ხუთ კაცს). გამგეობა კავშირს იჭერს მახლობელ მუშათა კოოპერატივთან და იმ ფულით, რომელიც შეგროვებულია საწევრო გადასახადის სახით, შეღავათიან ფასად იძენს საქონელს, რომელიც სკოლაში მოაქვს გასაყიდად. თვით გამგეობა აწარმოებს ვაჭრობას. საქონელი იყიდება ისე, რომ კოოპერატივს ცოტა მოგება რჩებოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში უფრო იაფი უნდა იყოს, ვიდრე ბაზარზე ღირს.

კოოპერატივებში მრავალგვარი საქონელი უნდა იყოს

ჩვენში სასკოლო კოოპერატივების რაოდენობა არც ისე მცირეა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათში მუშაობა ისე არაა დაყენებული, როგორც ეს საჭიროა. ახლა კი ის ნაკლი, რომელიც აქამდე გვქონდა ამ დარგში, თანდათან უნდა მოვსპოთ. უმთავრესი, რაც უნდა გავაკეთოთ ახლა, არის ის, რომ სასკოლო კოოპერატივში იყოს რაც შეიძლება მეტი მრავალგვარი საქონელი. საჭიროა, რომ სასკოლო კოოპერატივში იყოს არა მარტო კალმისტარები, კალმები, ფანქრები და რვეულები, არამედ სახელმძღვანელოებიც, რომლებიც საჭიროა ყველა ჯგუფისათვის.

თუ სასკოლო კოოპერატივს არა აქვს ამისთვის თანხა, მაშინ კომკავშირის უჯრედის, პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლის დახმარებით უნდა დაუკავშირდეს მოზრდილების კოოპერაციას და იქ მიიღოს ყველა საჭირო ნივთი ნისიად.

მოსწავლეთა მთელი 100% პროცენტი უნდა იყოს სასკოლო კოოპერაციის წევრი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სასკოლო კოოპერატივი უპირველეს ყოვლისა აღმზრდელობითი ორგანიზაციაა, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ მოსწავლეთა მთელი ასი პროცენტი იყოს მისი წევრი, ეს კი ორგვარ სარგებელს მოგვცემს: 1) სასკოლო კოოპერატივს თანხას გაადიდებს და 2) გააძლიერებს ბავშვებში კოოპერატიულ მიდრეკილებებს.

ამისათვის საჭიროა, რომ კოოპერატივის წევრს, როდესაც ყიდულობს რაიმე საქონელს თავის კოოპერატივში, შეღავათი ეძლეოდეს, არაწევრს კი ასეთი არ მიეცემა. კოოპერატივის წევრებისათვის ასეთი უპირატესობის მინიჭება დააინტერესებს სხვებსაც, რომ ისინიც გახდენ მისი წევრები. მაგრამ არა მარტო ასეთი ზომებით უნდა ვცდილობდეთ მოსწავლეების მთელი 100% ჩაბმას სასკოლო კოოპერატივში. გარდა ამისა, საჭიროა ბავშებში ვაწარმოოთ აღმზრდელობითი მუშაობაც. რამდენადაც შეიძლება, ბავშებს უნდა გავაცნოთ კოოპერატივის ამოცანები, დავაინტერესოთ იმით ისინი.

მოსწავლეთა 100% ჩაბმა სასკოლო კოოპერატივში, — აი რა უნდა იყოს პიონერთა ერთ-ერთი ძირითადი პრაქტიკული ამოცანა.

სასკოლო კოოპერატივი უნდა დავუახლოვოთ თვითმართველობას.

თვითმართველობა ხელმძღვანელობას უწევს სკოლის მთელ ცხოვრებას. მთელი სასკოლო კომისიები მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით. საჭიროა, რომ თვითმართველობავე ხელმძღვანელობდეს სასკოლო კოოპერატივს. კოოპერატივის მოგება სკოლის კულტურულ საჭიროებას უნდა მოხმარდეს. თვითმართველობამ კი უნდა ითავოს, თუ სახელდობრ რას მოხმარდეს ის.

ყველა მოწაფის სასკოლო კოოპერატივის საქმის მთავარი დამხმარე უნდა იყოს სასკოლო კომიტეტი. თუ ზოგიერთ პიონერს ან მოსწავლეს არ აქვს საწევრო ფული კოოპერატივში ჩასაწერად, მაშინ სასკოლო კომიტეტი უნდა შეეცადოს და მოაწყოს ფასიანი საღამო, შეაგროვოს შემოწირულებანი, რომლის შემოსავალიც მოხმარდება ღარიბი მოწაფეების კოოპერატივის წევრად ჩაწერის საქმეს.

თბილი საუზმის საკითხი სკოლაში.

თბილი საუზმის საკითხი ძირითადი საკითხია სკოლის ყოფა-ცხოვრებაში. როდესაც ბავშებს აქვთ თბილი საუზმე, ეს ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობის და ენერგიის შენახვას, და მათ შესაძლებლობა აქვთ ის ცნობები, რომელსაც მათ სკოლაში აწვდიან, უფრო ადვილად მეითვისონ. სასკოლო კოოპერატივმა ყველაზე მეტი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თბილი საუზმის მოწყობის საქმეში, უნდა გადასდოს ამ საქმისათვის თავისი მოგების ნაწილი.

სასკოლო კოოპერატივის მუშაკების შერჩევა.

სასკოლო კოოპერატივის კარგი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული სათანადო ხელმძღვანელთა, გამგეობის წევრთა, შერჩევისაგან. ენერგიული, უფრო გამოცდილი ბავშები უფრო კარგად წარმართავენ ამ საქმეს, ვიდრე ისინი, რომლებსაც ეს თვისებები არ აქვთ.

ამისათვის კი, რამდენადაც შეიძლება, სასკოლო კოოპერატივში მომუშავეები უნდა ავირჩიოთ უფროსი ჯგუფებიდან, რადგან ისინი უფრო განვითარებული და უფრო ენერგიულები არიან. მაგრამ მათგანაც მხოლოდ ისეთები უნდა ავირჩიოთ, რომლებიც უფრო არიან დაინტერესებული ამ საქმით.

გამგეობის ანგარიში.

დაბოლოს, უკანასკნელი და არანაკლებ საყურადღებო საკითხია გამგეობის ანგარიშიანობა. საჭიროა კოოპერატივის წევრებმა აირჩიონ სარევიზრო კომისია, რომელიც სისტემატიურად უნდა ამოწმებდეს კოოპერატივის შეჭოსავალ-გასავლის საქმეს, რომელიც განსაკუთრებულ წიგნში არის აღნიშნული.

ყოველ სამ თვეში გამგეობამ ანგარიში უნდა წარუდგინოს თავ ს ამომრჩევლებს კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ.

აი ის ძირითადი პრაქტიკული მომენტები, რომელიც სდგას პიონერთა წინაშე სასკოლო კოოპერატივის მოწყობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ძმები მსოფლიოში

როგორ მუშაობენ ინგლისის პიონერები.

ქალ. იზლინგტონში (ინგლისში) სულ 53 პიონერია. ადგილობრივი სკაუტების ორგანიზაცია ხშირად აწყობს სალამოებს, სეირნობებს ქალაქს გარეთ და ამით თავის რიგებში ითრევს მუშათა ბავშებს. პიონერ-ორგანიზაციას კი არავითარი საშვალება არ გააჩნია. მას უხდება მუშაობა ქარხნის რაიონის ერთ-ერთ ბნელ ოთახში.

პიონერ-ქალმა **მარგარიტა პრატმა** გადასწყვიტა, არც ერთი მუშის ბავში არ უნდა იყოს სკაუტების ორგანიზაციაშიო. ამისათვის თვითონაც გადასწყვიტა სკაუტების ორგანიზაციაში ჩაწერა და ფრთხილად აწარმოებდა იქ მშრომელთა ბავშებში აგიტაციას და ამზადებდა ნიადაგს „აჯანყებისათვის“.

კვირაობით სკაუტების მთელი რაზმი დადის ეკლესიაში სალოცავად.

ერთ-ერთ კვირას, როდესაც ისინი ეკლესიაში იყვნენ, მეტად პატივცემული გენერალი მოვიდა. სკაუტებს სთხოვეს ემღერათ „ღმერთო, ფარავდე მეფესა“.

და როდესაც რამოდენიმემ დაიწყო ეს სიმღერა, მაშინ უკანა რიგში გაისმა გაბედულად სიმღერა „წითელი დროშა“. ამას მღეროდენ მარგარიტა პრატი და 14 მისი თანამოაზრე ბავში, მუშების შვილები.

მეტად საკვირველი ამბავი მოხდა: მელოდია და სიტყვები „წითელი დროშა“ ლახვარივით ხვდებოდა გენერალს, მღვდლებს და მლოცველებს.

მარგარიტას და მისი თანამოაზრეების საცემად გამოექანენ გაბრაზებული დამსწრენი. ბავშებს არც ამისი შეეშინდათ. მათ დაიძახეს: „მუშათა კლასის საქმისათვის მუდამ მზად ვართ!“ და გამოვიდენ ეკლესიიდან.

ეკლესიაში გაისმა პიონერთა სიმღერა: „წითელი დროშა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და ტექნიკა

ჰაეროპლანით სანოვაგის გადაზიდვა

შვეიცარიაში ყველაზე უმაღლეს მთაზე მონბლანზე აშენებულია ობსერვატორია. ძალიან ძნელია ობსერვატორიისათვის მარაგის მიწოდება. ზამ-

სურ. № 1.

თრობით დიდი ხნის განმავლობაში სრულიად არ არის გზა, ზაფხულობით კი მეგზურებს უხდებათ საშინელ დაქანებულ ბილიკებზე სანოვაგისა და სარემონტო მარაგის ზურგით აზიდვა.

წრეულს ზამთარში ობსერვატორიის დირექტორსა მიმართა ცნობილ მფრინავს ტორეს, შესაძლებელია თუ არა ობსერკატორიისთვის საჭირო მარაგის ჰაეროპლანით მოწოდებაო.

ტორემ შესაძლებლად სცნო და შეჰპირდა, ვცდიო. ცდა ჩინებული გამოდგა.

ტორე გამოფრინდა სოფლიდან, რომელიც 500 კილომეტრით არის დაშორებული ობსერვატორიიდან,

სურ. № 2.

აფრინდა მთის მწვერვალზე მაღლა, ჩამოიწია ობსერვატორიის ახლოს და ჩამოაგდო სანოვაგე—ტვირთი. მან რამოდენიმეჯერ მიუტანა ობსერვატორიას ამ სახით სანოვაგე და სარემონტო მასალაც.

სურ. № 3.

ჩვენ სურათზე არის: 1) ტორემ გადმოაგდო ჰაეროპლანიდან დედამიწაზე პარაშიუტით სანოვაგე და მასალები, 2) ობსერვატორია მონბლანზე, 3) ობსერვატორიის მოსამსახურეები იღებენ ტვირთს.

112

სხვადასხვა ცნობები.

იოკოგამის ქათმები.

ადამიანი უძველესი დროიდანვე მიისწრაფვის, რომ მისი საყვარელი ცხოველი რაც შეიძლება მშვენიერი და ლამაზი იყოს. ლამაზ შინაურ ცხოველს, მაგ., ცხენს, ხშირად შეხვდებით ფაფარდავარცხნილს და ფერადი ლენტებით მორთულ მოკაზმულს. ძაღლებს - პუდელებს—პარსვენ, რომ ისინი ლომს დაამსგავსონ, შინაურ სპილოებს ეშვებზე სხვადასხვა სამკაულებს უკეთებენ.

მაგრამ ამ მხრით იაპონელებმა ყველას გადააჭარბეს, როდესაც გამოიყვანეს იოკოგამის ჯიშის ქათამი, რომელიც, თითქოს, განთქმული იყო უკვე მე-VI საუკუნეში ქ. წ.

ამ ჯიშის ქათმების მოშენება არაჩვეულებრივ ენერგიასა და დროს მოითხოვს, მაგრამ იაპონელებმა ამისათვის არაფერი არ დაიშურეს.

იაპონური ძველი თქმულება მოგვითხრობს, თუ როგორ მოაშენეს იოკოგამის ჯიშის ქათმები:

ერთ-ერთმა პროვინციამ, სადაც ყველაზე უფრო იყო გავრცელებული იოკოგამის ქათმების მოშენება, თავის ღერბად ფრთა აირჩია და მთავრობამ მისცა წინადადება ყველა წარჩინებულთ, რომ თავიანთი ფარები ფრთებით დაემშვენებიათ.

ისინი უნდა გამოსულიყვნენ ასეთი ფარებით ყოველგვარ უქმე დღესასწაულებზე. აქ ყველანი შეეჯიბრენ ერთმანეთს, თუ ვის უფრო გრძელი ფრთა ექნებოდა ფარზე და ვინაიდან იოკოგამის ჯიშის მამლის ლამაზი კუდი ამ მიზნისათვის ძალზე მიზანშეწონილი იყო, ამიტომ იწყეს ამ ჯიშის მამლის მოშენება და იქამდის მიაღწიეს, რომ იოკოგამის მამალს $5^1/_3$—6 მეტრი კუდი ამშვენებდა. ასეთი მამლის კუდი ძალიან ძვირად ფასობდა.

ახლა ასეთი მამლების კუდების მოთხოვნილება საკმაოდ შემცირდა და ამიტომ მათი მოშენება ხელსაყრელი აღარ არის, ვინაიდან იმდენ სარგებლობას აღარ იძლევა, რამდენ დროსა და ენერგიასაც ამ მამლის მოვლა-მოშენება მოითხოვს. ამიტომ ახლა შეხვდებით ამ ჯიშის მამლებს, რომლების კუდის სიგრძე მხოლოდ ორ საჟენამდე აღწევს.

ასეთი მამლები ჰყავთ მაღალ გალიაში, რომელსაც სანათური მაღლიდან აქვს დატანებული. ეს იმიტომ, რომ, თუ სინათლე ძირს იქნა, მამალი ძირს ჩამოფრინდება და ამით გაიფუჭებს კუდს. ამგვარად, ამ ჯიშის მამალები მუდმივად ჰყავთ ასე მოწყობილ გალიებში, რომ მათი ძვირფასი კუდი გადაარჩინონ გაფუჭებას. დღეგამოშვებით, ჰიგიენური თვალსაზრისით, მამლები სასეირნოდ გამოჰყავთ. ამ სეირნობის დროს ერთ კაცს უჭირავს კუდი ხელში და მიჰყვებ-მოჰყვება, რომ კუდი მიწას არ დაეკაროს და არ გაფუჭდეს. თვეში ერთხელ მამალს ბანენ თბილ წყალში და ფრთხილად აშოობენ, რისთვისაც მამალს სახლის სახურავზე დასვამენ ხოლმე, რომ ქარმა უქროლოს.



იოკოგამის მამალი.

ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაყვანად აქვთ მოწყობილი გრძელი ყუთები, სადაც კუდისათვის განსაკუთრებული ბინაა. ასეთი სიფრთხილე იმით არის გამოწვეული, რომ გაფუჭებული კუდი მამალს აღარ ეზრდება და მისი მთელი სილამაზე ერთბაშად ჰქრება. ჰკვებავენ მამლებს უმეტეს შემთხვევაში ბრინჯით.

იაპონიაში იოკოგამის ჯიშის ქათმები ძალიან გავრცელებულია და გვხვდება ბაღებში, სადაც უამრავ მნახველს იზიდავს, როგორც იშვიათი ფრინველი.

ევროპაში კი ასეთი ფრინველები არ უყვართ რადგან მეტად დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს მათი მოვლა-მოშენება.

თ. დ – იანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ მაისს

რამოდენიმე მწარე წელმა გადაიარა,
მრავალ წამების უტყუარი მოწმე იყავი.
და შავ დაფაზე დაწერილი შრომის იარა
ნათელ სახიდან კვლავ დაგრჩება გაურიყავი.
დღეს კი შემკულხარ და მოგირთავს ათასფრად ველი,
მას ფრინველების ტკბილი ხმები ამუსიკალებს.
ოქროს წინწკლებში რომ ბანაობს მზის სხივი მწველი,
მსოფლიო ზეიმს შორს სივრციდან ის უთვალთვალებს.
ყველა ეს ნიშნავს მშრომელების დიდ მონაპოვარს,
როცა პირველად აღიმაღლა ხმა გადამწყვეტი.
ის შვიბის თვალით გადახედავს თავის ნაშოვარს
და გასწორდება შრომისაგან წელში ნაწყვეტი.
პირველ მაისო, მოგილოცავთ დღეს გამარჯვებას,
დიდების ზეიმს ვუერთდებით პიონერები,
ჩვენ, ახალგაზრდებს, გვაგრძნობინებ უაღრეს შვებას,
აელვარდება ჩვენ რიგებში დროშის ფერები!
ჩვენი მეხვილით თვითმპყრობელებს მწარედ
დავარბევთ
და ვივლით წინ, წინ, მომავალი მაინც ჩვენია,
ბრძოლის მხნეობით ჩვენ იმათაც გადავაჭარბებთ,
ვისაც წარსულში ის წამება მოუთმენია!

ზაქრო ხარშილაძე.

სოფელი გაზაფხულზე

გაზაფხულია, ყველა ზეიმობს,
ველები მწვანედ მოკაზმულია.
ყანებში ისმის ხმების გუგუნი,
და მამითადი მოხარულია.

—

მინდვრებში ბავშთა სიჭრიამულე
ირგვლივ ედება არეს, ხეივნებს,
და მზეს აწვდიან ახალ სიცოცხლეს.
გაზაფხულია. ყველა ზეიმობს.

—

გახარებული ტოროლაც ზეცას
ალიონის სხივს მიექანება,
სოფელი ტურფა ახალ ფერს ისხამს,
ძველა-ძვულები თვალს ეფარება.
გაზაფხულია. ყველა ზეიმობს,
ველები მწვანედ მოკაზმულია,
ყანებში ისმის ხმების გუგუნი,
და მამითადიც მოხარულია.

პიონერი **ვანო ტულუში.**

პირველი მაისი.

მაისობა მოახლოვდა
და იწყება გაზაფხული,
შას ზეიმობს მსოფლიოში
მუშის რიგი დარაზმული.

დღეს ორმაგი ზეიმია
და არც არის საკვირველი:
მშრომელების ნაბიჯია,
მათი წინსვლის საძირკველი.

ქ. ახალსენაკის 7-წლ. მოწ. **ნ. ცაავა.**

საზეიმო

დიდება პატარებს, დიდება პატარებს,
მოვდივართ შრიალით, მოვდივართ გუგუნით,
ცხოვრება ჩვენსავით სინოორჩეს ატარებს,
ცხოვრება ჩვენსავით ჰქუხს, შრომის ერთგული!
ბრძოლებში შოლტივით დუმილი მოვტეხეთ,
ბუტკუჩა ვარდები გვეხვევა ახალებს...
ჩვენ არ ვართ უსაქმო, ჩვენ არ ვართ მოხეტე,
დავდივართ მთა-ბარად და ბრძოლა გვახარებს!
გაშლილი მიდამო გახსნილად გვეხვევა,
ვერავინ გაბედავს ჩვენი გზის შერყევას,
სიცოცხლის კოცონი ისევე ანთია...
ჩავკალით სიჩუმე საკუთარ ჩივილში,
დოლით, ბარაბანებით მსოფლიოს ვაყრუებთ,
გვიტაცებს შორეულ მოძმეთა ტკივილი,
გვაწუხებს შორეულ სევდათა საყურე.
დიდება პატარებს, დიდება პატარებს,
მოვდივართ, მოვდივართ შრიალით, გუგუნით,
ცხოვრება ჩვენსავით სინოორჩეს ატარებს,
ცხოვრება ჩვენსავით ჰქუხს, შრომის ერთგული.

ტრიფონ დარიაშვილი.

113
ეროვნული ბიბლიოთეკა

(განგრძობა)

თუ თქვენ გინდათ სერიოზული ყურადღება მიაქციოთ რადიოს, მაშინ მოისურვებთ მორზეს კოდის გაცნობას, იმ შემთხვევაშიაც კი, როცა გათვალისწინებული გაქვთ გამოიყენოთ თქვენი მიმღები მხოლოდ გართობის მიზნით, თქვენ აღჯეძრებათ სურვილი, თუნდაც საერთო სახით, გაიგოთ იმ განსაკუთრებული ხმაურობის წარმოშობა, რომლებსაც გაიგონებთ თქვენ.

აი სწორედ ეს „ხმაური“—როგორადაც, უეჭველია, პირველად მოგეჩვენებათ ეს თქვენ—ნამდვილად არის ის საყურადღებო რადიო-ტელეგრაფის ნიშნები, რომლებიც იცემიან მორზეს კოდით. ისინი წარმოადგენენ წერტილებისა და ხაზაკების მწკრივებს და რომ ეს წერტილები და ხაზაკები გადავიყვანოთ სიტყვებში, საჭიროა მორზეს კოდის შესწავლა და მისი პრაქტიკულად შეთვისება. არსებითად ამ ხაზაკებითა და წერტილებით გაიკემიან გრძელი და მოკლე ხმაურობანი. წარმოვიდგინოთ, თქვენ დააჭირეთ ხელი ელექტრო-წკარუნას ფოლადს და არ უშვებთ მას ხელს, ვთქვათ, ორი წამის განმავლობაში. ეს მორზეს კოდით ნიშნავს ხაზს

თუ თქვენ, დააჭერთ რა ფოლაქს, მყისვე გაუშვებთ მას ხელს, მაშინ წკარუნა იწკარუნებს მხოლოდ ერთი მომენტის განმავლობაში, და ეს შეეფერება მორზეს კოდის ერთ წერტილს. თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ ეს თქვენს ელექტრო წკარუნაზე და დაინახავთ, რომ ამგვარი საშუალებით მორზეს კოდით სიტყვების ნელი გადაცემა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს: საჭიროა მხოლოდ წერტილებისა და ხაზაკების სწორი შეთანაბრება, ე. ი. მოკლე და ხანგრძლივი ბგერები.

ხაზს ან წერტილს არა აქვს რაიმე წინასწარი განსაზღვრული სიგრძე, მაგრამ, აწარმოებთ რა მორზეს კოდით გადაცემას, საჭიროა ხაზაკს მისცეთ საგრძნობლად მეტი ხანგრძლივობა, ვიდრე წერტილს. თუ კოდით სცემთ დიდი სიჩქარით, მაშინ სათანადოდ უნდა იყონ მოკლეები თქვენი წერტილებიცა და ხაზაკებიც.

წერტილებისა და ხაზაკების სხვადასხვა კომბინაციის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ გამოხატოთ ანბანის სხვადასხვა ასოები. ასე, მაგალითად, მორზეს კოდით ასო ა გამოიხატება ერთი წერტილით, რომელსაც მიჰყვება ხაზი (.—); ასო ბ გადაიცემა ერთი ხაზით და მასთან მიმდევნო სამი წერტილით (— . . .); ასო ც შესდგება ხაზისაგან, წერილისაგან, ხაზისა და წერტილისაგან (— . — .); ანბანის ყოველი ასო განსხვავდება სხვა ასოებისაგან წერტილებისა და ხაზაკების რიცხვითა და განწყობილებით. აქ მომყვს მორზეს ანბანის ცხრილი, რომლიდანაც დაინახავთ, თუ როგორაა გამოხატული თვითეული ანბანი წერტილებითა და ხაზაკებით.

მორზეს ანბანი:

ა . —	მ — —	ღ . . — —
ბ — . . .	ნ — .	ყ — . — —
გ — — .	ო — — —	შ — — — —
დ — . .	პ . — — .	ჩ — — — .
ე .	ჟ . . . —	ც — . — .
ვ . — —	რ . — .	ძ . — . —
ზ — — . .	ს . . .	წ — . . —
თ . — — —	ტ —	ჭ . . — . .
ი . .	უ . . —	ხ . . . .
კ — . —	ფ . . — .	ჯ . . — — .
ლ . — . .	ქ — — . —	ჰ . — — . .

ნიშანი უბედურების შესახებ . . . — — — . . .

ნიშანი საშიროებისა და ზღვის ღელვის დროს —

თქვენ ამჩნევთ, რომ მორზეს კოდით გადაცემის დროს, მაგალითად, ელექტრო-წკარუნას საშუალებით, თქვენ გიხდებათ პატარა მიმოხანის (შუალედის) გამოშვება თვითეული წერტილისა და ხაზაკის შუა. როდესაც სცემთ მთელ სიტყვას, მაშინ გიხდებათ უფრო დიდი მიმოხანის გამოშვება ცალკე

ასოს შემადგენელი თვითეული წერტილებისა და ხაზაკების ჯგუფთა შორის. ასე, მაგალითად, თქვენ თუ გსურს გადასცეთ სიტყვა სად, მაშინ თქვენ გადასცემთ ასო ს: სამი წერტილი (...), შემდეგ სტოვებთ პატარა მიმოხანს, ცოტა ხანს შეჩერდებით, და იწყებთ ასო ა, რომელიც შესდგება წერტილისა და ხაზაკისაგან (. —), მერე თქვენ ისევ შესდგებით ოდნავ და ჰგზავნით ასო დ, ე. ი. ერთ ხაზაკს და ორ წერტილს (— . . .)

თქვენ ნათლად ხედავთ, რამოდენად საყურადღებოა გარკვეული მანძილის დატოვება თვითეულ ასოს შორის: უამისოდ ყველა ასოები შეერთდებოდენ და ამისაგან ჩვენ ვერავითარი აზრის გამოტანას ვერ მოვახერხებდით.

ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებსაც ესმით რადიო-მიმღებში ეს ზუილის მაგვარი ხმაურობა, ეჩვენებათ, რომ, თითქოს, მეტად ძნელი იყოს დაჭერა იმისი, თუ სად თავდება ერთი ასო და იწყება შემდეგი. მაგრამ თუ თქვენ ივარჯიშებთ მორზეს კოდით, მალე მიეჩვევით ცალკე ასოს გარჩევას და რამდენიმე ხნის შემდეგ შესძლებთ მის ხელადვე გარჩევას სმენით, იმის მაგიერ, რომ ჯერ ის ჩასწეროთ წერტილებისა და ხაზაკების სახით და შემდეგ გაარკვიოთ მისი მნიშვნელობა. მაგრამ, შესაძლოა, თქვენ იკითხოთ: „როგორ შემიძლია მე გავიგო, სად თავდება ერთი სიტყვა და იწყება მეორე?"

ამისი პასუხი უბრალოა. მორზეს კოდით გადამცემი სტოვებს ერთი სიტყვის უკანასკნელ ანბანსა და მეორე მიდევნო სიტყვის პირველ ანბანს შორის მეტ მიმოხანას, ვიდრე ერთიდაიმავე სიტყვის ანბანთა შორის. ამ საშუალებით მორზეს კოდის მკოდნეს შეუძლია გააცალკევოს ერთი სიტყვა მეორესაგან. მე შემეძლო კიდევ მომეთხრო თქვენთვის, თუ როგორ აღინიშნებიან შეჩერების ნიშნები მორზეს ასოების საშუალებით, ე. ი. წერტილებითა და ხაზაკებით, მაგრამ არ არსებობს საჭიროება შეგაწუხოთ თქვენ ამგვარი ცნობებით ასეთ პატარა წერილში.

მაშ, ამგვარად, უსმენთ რა მორზეს კოდით ნიშნების გადამცემ რადიო-სადგურს, თქვენ იღებთ ამ მოკლე და გრძელ ბგერებს, რომლებიც შინაარსის მიხედვით მორიგეობით სცვლიან ერთმანეთს, თუმცა ისინი თქვენ, შესაძლოა, მოგეჩვენოთ მხოლოდ უბრალო ხმაურობად. მაგრამ თუ მიეჩვევით მორზეს კოდის საკმაო სისწრაფით გარჩევას, თქვენ შესძლებთ ერთბაშად ჩასწეროთ ცნობა გადმოცემასთან ერთად. თუ გადმოცემა ხდება ძლიერ ნელა (აია უმეტეს 10 სიტყვისა წუთში), თქვენ შეგეძლებათ ჩასწეროთ ის წერტილების და ხაზაკების სახით და შემდეგ გაარჩიოთ ასოები, მაგრამ ეს მეტად დამქანცველი საშუალებაა, და რადიო-მეელწერეს უნდა შეეძლოს მიღება დაახლოვებით 20 სიტყვის სიჩქარით წუთში; ამ შემთხვევაში ის სურვილის დროსაც კი ვერ მოასწრებდა ყველა წერტილებისა და ხაზაკების ჩაწერას, ამიტომ ის სწერს პირდაპირ მთელ სიტყვებს მათი მიღების მიხედვით. ისმენს რა, მაგალითად, წერტილსა და ხაზს — ის მაშინვე იგებს, რომ ეს ასო ა არის. ფანქარის ქაღალდიდან მოუშორებლად ის უცდის შემდეგ ასოს და ამრიგად სწერს მთელ წინადადებებს.

თუ ამჩნევს, რომ მაშინვე არავითარი ასო არ მოდის, ის აშორებს ფანქარს ქაღალდიდან და ნიშნების განახლებისას იწყებს ახალი სიტყვის ჩაწერას. ზოგი მარტივი სიტყვების გამოცნობა მას შეუძლია ერთბაშად, ბგერის მიხედვით.

ამოცანა № 1.

ამ ნაჭრებისაგან ააშენეთ ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

114
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა და იყიდება სახელგამის გამოცემანი.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის რედაქციით:

	ფასები:
„ნორჩი ძალა“—კრებული	15 კ.
„კოკროჭინა“ დ. დონდუასი . . .	10 „
„ბელა ბეკეკა“	10 „
„ტყის სურათები“—შ. მღვიმელის	25 „
„ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	30 „
„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“ .	20 „
„ქართული მოძრავი თამაშობანი“	80 „
„ივანე სულელი“—ლ. ტოლსტოის	15 „
„მოძრავი თამაშობანი“ გოგლიჩიძის	1 მ.
„უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“	15 „
„როგორ იცავენ თავს ცხოვრებლები მტრისაგან“—გ. ანთელიძის. .	25 „
„რას გვიამბობს ოთახი“	20 „
„ზღვის სიმდიდრე“	20 „
„პატარა იაპონელები“—ფერად ყდით	75 „
„ჩვენი უფროსი ძმები, ახალგ. კომკავშირლები“	10 „
„კომბლე“—სურათებიანი (ხალხური ზღაპარი)	65 „
„ლენინის საათი სკოლაში“	50 „
„ტაიგის საუნჯე“	40 „
„პიონერი სოფლად“	25 „
„საბავშო ბაღი“	1 მ.
„მომღერლები“	15 „
„ნორჩ პიონერთა თანამგზავრი“ . .	20 „
„ნორჩი პიონერები და ბავშთა საერთაშორისო კვირეული“ . . .	20 „
„საბავშო სახლის ცხოვრება“ . . .	70 „
„იყავ მზად“	5 „
„კომკავშირო, მოამზადე მესამე წყება“	30 „
„ბავშთა კომუნისტური მოძრაობა“ შ. ტაბიძის	60 „
„საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის მორიგი ამოცანები“ . . .	15 კ.
„წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი“	35 „
„თინიკოს ამოცანები“	45 „
„პატარა ჰოლანდიელები“ ლიუსი ფიჩ-პერკინსის	80 „
„წითელკანიანები“—ხლებნიკოვის .	55 „
„ახალი ორთქლმავალის სიმღერა“—სპრეგ მიტჩელის	25 „
„ჩემი პატარა წიგნი“ ი. გრიშაშვილის და სტაროსელსკის.	50 „
„წითელი ვარსკვლავების მოგზაურობა საოცარ ქვეყანაში“ . . .	55 „
„მაღალი მთის და პატარა ნაკადულების ამბავი	30 „
„ბელა და ცქვიტო“—ნ. კეცხოველის	45 „
„სიზმრად და ცხადად“	30 „
„მზე, მთვარე და ვარსკვლავები“ .	60 „
„ოქტომბრის დღეები“	1 მ. 20 „
„ჩემი ყვავილები“—შ. მღვიმელის .	40 „
„ცელქები“—შ. მღვიმელის	30 „
„პურის მარცვლის თავგადასავალი“	40 „
„აი როგორ ვმუშაობთ“	1 მ.
„კოჭლი წიწილა“	25 „
„უცნაური ამბავი“—ვ. პარკაძის .	35 „
„ხარიტა“ – გუმილევსკის.	1 მ.
„განახლებული დედამიწა“—ჰარვუდის	1—20 „
„სიმღერები“—შავერზაშვილის . .	80 „
„საბავშო ბაღი“ ფერადი სურათებით	1—20 „
„დაღუპვის პირად“—სვენ გედინის.	25 „
„პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება“—ლუნკევიჩის . . .	30 „
„საბავშო ბაღი“—წიგნი ფერადი სურათებით“	12 „
„პირველი მაისი“ — პირველი მაისის დღესაწაულის ჩასატარებელ მასალათა კრებული	

იგეჭდება და ჩქარა გამოვა.

„სიმღერები“—ნ. შარაბიძე . . . .
„ვინ არის ყველაზე ძლიერი“—ჭანიშვილი და ძნელაძე . . . . . .
„აბ-აბ, სიამაყე მთებისა“—ე. მარკოვის, მოთხრობა, აფხაზეთის ცხოვრებიდან . . . . . .
„ათეული“ — ფერადი სურათებით. მ. მიქელაძე-ბაგრატიონი . . . .
„ჩემი მეგობრები და ნაცნობები“ .
მოთხრობები“—ი. ევდოშვილის .

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1927 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში—5 მან.
ექვს თვეს—3 მან.
სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი"-ს და „ნაპადული"-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—14/IV—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტ № 661 შეკვ. № 5645/796 ტირაჟი 2000.